ადგინა შურაქმყოფელი სამახსოვრო ბარათები, რომლებითაც მას (მიშელი)
სურდა მისი (მარი პეტი) გაშავება და აგრეთვე იმისათვის, რომ იყო ბრალდ-
ბის ავტორი, მიუხედავად სავნების დაუზიანებლობისა, რომლებიც მას (მარი
პეტი) შეუძლო, როგორც მოწმეს, წარუდგინა მის წინააღმდეგ და სხვა ვაგონ-
ილ ხმების წინააღმდეგ როგორც ეს პრაქტიკაშია და გამოყენებული იმისა-
თვის, რომ მას (მარი პეტი) მოუსმინონ იმის შესახებ, რაც მან (მიშელი) ჩაი-
დინა და შეცლომაში შეიყვანა.

ეს თხოვნა მიიღეს და შეატყობინეს. ბატონმა მოწინააღმდეგემ ცნო ჩვენი
დავა ფულის ვარვისიანობაზე. მან გამოითხოვა სამეფო წერილები უკანასკნე-
ლი 15 ივლისისა, რომელთა შემოწმებით და უსამართლო საშუალებების გამო-
ყენებით მან მოითხოვა მისი ვალდებულებისაგან განთავისუფლება; ახლა
ითხოვს მის გაუქმებას და იმავე მდგომარეობაში ყოფნას, რომელშიც აღრე
იყო და განთავისუფლებას 12 ათას 200 ლივრის თანხის გადახდისაგანაც. მან
(მიშელი) დაურთო თავის სამეფო წერილებს მეორე დღის საჩივარი, რომელ-
შიაც დაასკვნიდა, რომ ამ უკანასკნელს მსვლელობა მისცემოდა და ძალაში

შესულიყო. მან მოითხოვა ამის დამტკიცება ისე, რომ ჩვენ ვყოფილიყავით მსჯავრდებულნი, რომ მისთვის დაგვებრუნებინა ერთი მხრივ 1500 ლივრი და მეორე მხრივ, 1806 ლივრი, რომლებსაც ის თვლის, რომ მან ჩაუტყდა ამ მისცა მოღვაჯე ქალს, და ეს პროცენტებითა და ხარჯებით, ზარალის ანაზღაურებით, მღვდმარეობისა და რილის მიხედვით, რომელსაც ის მიანიჭებდა, რომ ყოველივე ამისათვის შეუფარდოს მას პიროვნული იძულება.

მან წარადგინა მეორე საჩივარი იმავე ივლისის 25-ს, რომელშიც ჩვენ საჩივარში ჩამოყალიბებული მიზნების წინააღმდეგ გამოდის. იგი უარს ამბობს და სასამართლოდან განთავისუფლებას მოითხოვს. ჩვენი უკანასკნელი 12 აგვისტოს საჩივრით ჩვენ შევედგეთ ყველა ამ მოთხოვნებს და იძულებული ვავხვდით მის წინააღმდეგ გამოძიების საჩივრით გამოვსულიყავით, გამოძიებისა და მოწმეების მოსყიდვის ჩატარების შესახებ.

საქმე ეხება ყველა მონაცემების განხილვას, რომლებიც შედეგებიან პირველი, სამეფოს ბატონი პროკურორის საჩივრისაგან, რომელიც ნამდვილად ბატონ მიშელის მოწუბილია; მეორე, ქალიშვილი პეტის საჩივრისაგან, სადაც ის ითხოვს, რათა ის (მიშელი) ესწრებოდეს პროცესს და მას მიუსჯიან 12 ათას 200 ლივრი თანხის გადახდას სარგებლით, როგორც სასამართლო მოითხოვს, და ამასთან ერთად, ხარჯების ზარალის ანაზღაურებას, რომლითაც მან (მარი პეტი) იზარალა; შესამე, გამოითხოვონ სამეფო წერილები; მეოთხე, საჩივარი მიმართულია ზემოხსენებული ორი თანხის ანაზღაურებისაკენ და მივჩნეული ზარალის განაღებისაკენ; მესუთე, მისი (მიშელი) საჩივარი, რომელშიც ის დაასკვნის, რომ ჩვენი მოთხოვნით ის მოაქციონ სასამართლოსა და პროცესის გარეთ; მეექვსე, იმ საჩივარში, რომელიც ჩვენ წარვადგინეთ ხსენებულ დღეს - 12 აგვისტოს, რათა მისი მოთხოვნები გამოცხადებულიყო მოუღებლად, და ბოლოს, ჩვენ საჩივარზე, მივიღით ნებართვა, რათა ვაწარმოოთ მის წინააღმდეგ გამოძიება მოწმეების მოსყიდვის შესახებ, რომელიც დაერთო პროცედურას.

მაგრამ, რამდენადაც ყველა ეს მონაცემი ბრალდების ღირსებისაგან და ფულის კანონიერებისაგანაა დამოკიდებული, ჩვენ მათ შევუჯერებთ ერთიმეორეს და შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ საჩივარი აღძრული ჩვენს წინააღმდეგ, არ არის მართალი, რომ მას არ ახლავს დამამტკიცებელი საბუთები და რომ ის აღძრული იყო ბატონი მოწინააღმდეგე მხარის მიერ, მხოლოდ ამისათვის, რათა მათ მიეტყვათ ჩვენი ქონება. ჩვენ ასევე ვაჩვენებთ კიდევ, რომ ჩვენ მიერ მოხსენებული ვალდებულება, არ შეიძლება გაბათილდეს სამეფოს წერილობით, რომელიც ეს არის გამოითხოვეს.

რათა დამტკიცდეს, რომ ამ ბრალდებას არა აქვს არავითარი საფუძველი, საკმარისია გამოვიყენოთ წერილები, რომლებიც დაწერილია როგორც ხსენებული ბატონი მიშელის, ასევე ბაბილონის სენიორ ეპისკოპოსის მიერ, რომლებიც მიწერილია მისი აღმატებულების გრაფი დე პონშარტრენისა და ოტომანის პორტაში ელჩად მყოფ დე ფერიოლისადმი, რომლებიც დათარიღებულია 1707 წლის 21, 25 მაისით და 4 ივლისით თავრიზსა და სპარსეთის ერევან-

შე. აღნიშნული წერილები საესებით ამართლებენ სხენებულ პეტის, ვინაირნი მისი მტერი, რომელიც დღეს მის მოდავე მხარეს წარმოადგენს, აღნიშნული სიტყვებით განმარტავს ამას.

საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

№ 2.

Pour Copie l'Original étant dans l'Inventaire fait par
Monsieur de Montmorot¹.

Marie Patit

Il est remarquable qu'il luy écrivit plusieurs lettres à Tauris, et en Géorgie, dont nous tirerons avantage dans la suite; elle prie sa route peu de tems après pour Constantinople, où étant arrivée, elle logea pendant huit mois dans le Palais de Monsieur de Ferrol Ambassadeur, mangea à la table pendant ce tems-la, et s'étant embarquée sur le Vaisseau du Roy l'Entreprenant, commandé par le St. Clavel, elle arriva aux infirmeries de cette Ville, d'où elle fut conduire après la purge à la Maison du Refuge, le 8. Février 1709, quoique l'intention du Roy sur de la mettre dans un Convent des Religieuses, comme il est justifié par la Lettre de Cachet du 21. Mars 1708 adressée à M. de Montmort, qui fit un Inventaire général de tous ses Effers, Hardes et Papiers, dont les Sieurs Directeurs furent chargez. Elle fut interrogée en conséquence.

On la ressera d'une maniere extraordinaire, et on ne luy laissoit pas la liberté de voir personne, comme si elle eut commis de grands crimes; elle eût pourtant le moyen de porter sa plainte à Monseigneur le Comte de Pontchartrain qu'elle réitéra si souvent, que par Arrest du Conseil du 12. Février 1710. Vous avez, Monseigneur, été délégué pour juger en dernier Ressort, avec les Sieurs Officiers au Siège de l'Amirauté, et le nombre des Graduez portée par les Ordonnances; l'accusation formée par Monsieur le Procureur du Roy, à la sollicitation du sieur Michel contre la Querellée, et de prononcer sur la validité ou invalidité du billet des douze mille deux cens liv. ensemble sur les pretendus Achats des nouveaux Presents faits par le sieur Michel, circonstances et dependances.

En execution duquel a été procédé à l'information, et le Procès a été instruit aux formes ordinaires, mais comme la Demoiselle Petit a toujours été penetrée que le sieur Michel étoit sa Partie secrète, elle a demandé par sa Requête du 8. Juillet dernier qu'il demeureroit en qualité au Procès comme Partie principale pour souffrir la condamnation de la somme de douze mille deux cens liv. contenuës en sa promesse du 25 May 1707 avérée et reconnuë par Sentence renduë par le St. Lieutenant en la Sénéchauffée de cette Ville, le 12 Avril 1710, et ce avec interers et dépens; elle a

conclud en outre qu'il seroit condamné à une reparation envers la Querellée, et à tous ses, dépens, dommages intérêts, pour avoir fourni des Mémoires injurieux dont il a voulu la noircir, et evoir été l'auteur de l'accusation, sans préjudice des objets qu'elle avoit à donner contre luy comme témoin, et contre les autres Oïis, et à oïr comme ayant été pratiquez et subornez, cette Requête ayant été appointée d'un foit communiqué, et signifiée, les Sieur Adversaire reconnaissant la validité de notre Billet, a impetré des Lettres Royaux le 15. Juillet dernier, à la faveur desquelles, et des moyens injustes qu'il a employé, il prétend d'être restitué envers son obligation dont il demande la cassation, d'être remis au même état qu'il étoit auparavant, et décharge du payement de la somme de douze mille deus cens livres; il a accompagné ses Lettres Royaux d'une Requête du lendemain, par laquelle en concluant qu'il luy fut concédé acte de l'employ d'icelles, il en a demandé l'interrinement, et de même suite à ce que nous soyions condamné a luy restituer mil cinq cens liv. d'une par, et mil huit cens six liv. d'autre; qu'il présuppose avoir comptées ou fournies à la Querellée, et ce avec interêts et dépens, dommages interêts, suivant l'état et rôle qu'il en donnera, et que pour le tout la contrainte par corps sera luxée.

Il a presenté une seconde Requête le 25 même mois de Juillet, où il combat les fins prises dans la nôtre, dont il demande le déboutement et son relax d'instance; nous avons contesté toutes ces demandes par nôtre Requête du 12. Août dernier, et nous avons été obligé de nous pouvoir contre luy par Requête en information, en pratique et subornation des témoins.

Il s'agit d'exeminer toutes ces qualitez, qui consistent 1°. En la plainte de Monsieur le Procureur du Roy, qui est proprement l'ouvrage du St. Michel; 2°. En la Requête de la Demoiselle Petit, où elle demande qu'il demeurera en qualité au Procés, et qu'il sera condamné ou payement de la somme de douze mille deux cens livres avec interêts, tels qu'est de droit, et aux dépens, dommages, interests par elle soufferts; 3°. Aux Lettres Royaux impetrées; 4°. En la Requête d'employ tendante à la restitution des deux sommes y exprimées, et à l'adjudication des dommages interests; 5°. En sa Requête par laquelle il conclud d'être mis sur nos demandes hors de Cour et de procès; 6°. En celle que nous avons donnée ledit jour 12 Août pour le faire déclarer non-recevable en sa récision; et enfin en nôtre Requête pour obtenir permission d'infermer contre luy en pratique et subornation des témoins, qui a été jointe a la procedure.

Mois comme tous ces qualités dépendent du mérite de l'accusation et de la validité du Billet, nous les confondrons, et nous nous atacherons a faire voir que la plainte formée contre nous, n'est pas juste, qu'elle est sans preuve, et qu'elle ne nous a été suscitée par le Sieur Partie adverse, que pour nous ravir notre bien; nous demontrons encore que l'obligation

que nous avons rapportée ne scauroit être ancantie par les Lettres Royales qu'on vient d'impetrer.

Pour prouver que cette accusation n'a aucun fondement, on n'a qu'à employer les Lettres écrites, tant par ledit sieur Michel, que par le Seigneur Eveque de Babilonne à Monseigneur le Comte de Pontchartrain et à Monsieur de Ferreol Ambassadeur à la Porte-Ottomane, datées à Tauris, et à Erivan en Perse le 21. 25. May et 4. Juillet 1707 lesquelles justifient entièrement ladite Petit, cor son ennemy qui est aujourd'huy sa partie s'explique en ces termes.

1 Archives du Ministère des Affaires Etrangères, Paris, "Perse", t. 2, ff. 15-17 (262-263).

№3

1707 წელი. თბილისი. საქართველოს მეფის ვახტანგ VI წერილი საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში მარკეზ დე ფერიოლს

ქ. დმურთა ერთარსებისა და სამებისა წმინდისა მოსაენი და მადიდებელნი და უბიწოდ მშობლისა მისისა, ქალწულის მარიამის საკუთარნი და წილ ხდომილნი და მის მიერ ძღვევა შემოსილნი, უფლისა და მეუფისა ჩვენისა იესოს ქრისტეს კვართსა და სვეტსა დვითე აღმართებულსა ზედან აღშენებულს დედაქალაქსა შინა აღმალღებულის მცხეთის ეკლესიის მქონებელი და სამართლილ მჭირავი დიდისა წინასწარმეტყველისა დავითისა და ძისა მისისა სოლომონის ტომნი და რტონი ბაგრატიონი ძე ქართველთა მეფისა და აწცა ბძისა ქართველთა მეფისა მავთერად გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ მოვიწერ შენ დიდისა და აღმალღებულის ხელმწიფისაგან ღირსებით ცნობილსა და სამართლად შეყვარებულსა კაცსა მის მიერ გამორჩეულსა და მისანდოდ სვაშიადთა შემწახვსა ყველთა სიბრძნეთა შინა აღზრდილსა და საღმთო საეროს ზნეობის მქონებულს დიდისა და ძლიერის ფრანქისი ხელმწიფის ელჩსა ბატონს მარკეზ დე ფერიოლეს მოკითხვას მშვილობას და სიყვარულს ყოვლისა კერძობისათსა მერმე ეს მოახსენეთ ეს თქვენის ხელმწიფის საბატონოდამ წამოსული ქრისტიანი დედაკაცი აქ ჩვენ საბატონოში მოვიდა და მანდ წამოსასვლელის გზის შოვნას შემოგვებეწა: აქ რომ ბედნიერს ყვეთან თქვენი ელჩი არის იმსაც წივნი მოწერა ვზა უშოვნეთო და სტამბოლიდინ თქვენი კაცი გაატანეთო ჩვენ ამ დედაკაცის საქმე მოკითხული ვქენით ქრისტიანი და კარგი ნამუსიანი დედაკაცი ყოფილა ერთი ჯიზვიტი პატრი და სხვა მრავალი ქრისტიანი ფრანგები ერისკაცნი ხაჯ დიდის მოურჩენია ამისთანას კაის დედაკაცობით უვლია და ახლა მანდ გვიახლავ ბია თუ ვისმე მტერობით ამისი ურიგო ამბავი მოესხენებინოს ვისმე ნუ დაუჯერებთ და ერთი წივნი ამალღებულს ფრანგსისის ხელმწიფესაც აახვლით რომ ჩვენის გულისათვის ნურას უწყრომებენ ჩვენი ერთგული და მისანდო ვზა ნერხვსა გვიახლებია და მანდ რომ გვიახლოს მერმე ისრევ აღრე გამოისტუმრეთ¹.

(ხვეულად): ვახტანგ

(მისამართი): ქ. ფრანკისის ხელმოწერის ელჩის მარტეს დე ფარიოლე
ლაქსა შინა კონსტანდინოლის მივიდეს ქრისტეს აქათ ათას შვიდას და შვიდას.
(ბეჭდვზე): რტომ ვარ დავითის მეგლ ღომად ღვთის
ვახტანგ ვამტკიცებ მეუის ძეობით.²

14735520
8862070333

¹ საფრანგეთის ელჩის კონსტანტინოპოლში მარკოს დე ფარიოლისადმი ვახტანგ VI შერე ვაგზა-
ნილი ამ წერილის მოკლე ისტორია ასეთია: საფრანგეთში ამ წერილის ქართული ტექსტის პირვე-
ლი მუდრებელი ყოფილა საფრანგეთის სამეფოს კარის მსახურეა, საფრანგეთის აკადემიის წევრი
ლუი-ფრანსუა მანსერე (1780-1860). 1826 წელს, მანსერეს იხსენიო, ეს წერილი ფრანგულად
უთარგმნია ერთი ქართველი, რომელიც ამ პერიოდში გამას ჩამოვიდა საფრანგეთში. ეს თარ-
გმანი წერილის მოკლე შინაარს იძლევა (იხ. "Nouveau Journal Asiatique", t. IX, p. 213).

ვახტანგის ამ წერილის ქართული ტექსტი და მისი სრული თარგმანი ფრანგულ ქაზე გამოაქ-
ვესა მ. ბროსემ (იხ. იქვე გვ. 213-215). თუმცა მ. ბროსეს ვახტანგის წერილის ტექსტმა მერს საუ-
კუნის ქართული ანბანი - მწიგნობრის გამოყენებით მიიღო, რაც ცხადია ხელნაწერის
დღიანში არ არის.

მ. ბროსემ ამ წერილს დავითო ვრცელი კომენტარები ადარებს რა ვახტანგის წერილს, რომე-
ლიც მას თითქმის მიუწერია დღე XIV-დში და მისივე წერილის მარკოს დე ფარიოლისადმი. მ. ბრო-
სეს რეზიუმე ზემოთ აღვნიშნე, ამ დასკვნამდე მიდის, რომ ვახტანგის წერილი დღე XIV-დში არ
მისწავს ვახტანგს, არამედ იგი შუისხულია მარი პეტის შერე.

მ. ბროსეს ეს დასკვნა სრულიად სწორი უნდა იყოს. ვახტანგ VI-ის მარი პეტის შესახებ ცალკე
წერილი რომ მიწერა საფრანგეთის მეფისადმი, მაშინ არ ამის შესახებ რაიმე ნათქვამი იქნებოდა
მარკოს დე ფარიოლისადმი მიწერილ წერილში. ან ამ წერილში ვახტანგი რატომ მოსწერდა ელჩს:
„და ერთი წინა ამალეუბის ფრანგისის ხელმოწერისაგ ახელით, რომე, ზენის ეკლესიის ნუ-
რას უწერამებ“ (მარი პეტის).

მ. ბროსეს შემდეგ, მარკოს დე ფარიოლისადმი მიწერილი ვახტანგის ზემოხსენებული წერილი
გამოტყვევებითა „ციხიკარში“ (იხ. „ციხიკარ“ 1859 წ. ტ. I, წიგნ. II, გვ. 151-153). მიუხედავად იმი-
თხა, რომ სტრაბონის შერე-შენა ვაქიუბელი, რომ: „ეს წიგნი გადმოწერილია ნაძღველისაგან, კარო-
ლის პაპალითაჲთაგან მარკოს...“, დღემდე უდარებისას მთელი რიგი არა ხიზსტე აღმჩნდა:
გამოტყვევებულია სიტყვები, ბოლო შეცვლილია, ვახტანგის ბეჭდვზე არაფერია ნათქვამი.

1876 წელს იგივე წერილი აღექვსანდრე ჭვრინას დაუბეჭდა „დროებაში“ (იხ. „დროება“ 1876 წ.
№43). წერილი ამოღებულია მ. ბროსეს შერე „ახალი სახარე ფრანკალი“ გამოტყვევებითა მასაღე-
ბიდან, შერე. აქვე ვხვდებთ დღემდე უდარებისას არა ხიზსტე.

და ბოლოს, ვახტანგის ეს წერილი გამოაქვეყნა პროფ. ვ. გამაშვილმა 1959 წელს (იხ. ვ. გამაშ-
ვილი, ხელნაწ-საბა ორბელიანი, 1658-1958, საუბილყო კრებული თბილისი, 1959, გვ. 67). პროფ.
ვ. გამაშვილს უსარგებლია საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ამ წერილის
პირი.

როდესაც ზენე შევადარე ვახტანგის ზემოხსენებული წერილის დღემდე გამოტყვევებული ტექ-
სტები დღემდე, აღმჩნდა მთელი რიგი არახიზსტე, რის გამოც გადმოწერილი გამოტყვევებითა
იგი ზუსტად იმრიად, როგორც ის დღემდე არქივში (იხ. სამეფო საქართველოს საფრანგეთის
უთარგმნის ისტორიიდან, ნაწ. I, გვ. 38-40).

² მ. ბროსეს შემდგენარად ამოკითხია წერილზე დახმული ვახტანგის ბეჭდვზე მოცემული წარ-
წერა: „რტომ ვარ დავითის ძე ხადლმა დავითის ვახტანგ ვამტკიცებ მეუის ძეს“.

„ისილ“ მ. ბროს აზრით ხასრული სიტყვია და ნიშნავს „ვირლინა“-ს. ბეჭდის ერთი ნაწილი
ნამოტყვევულია, ვერ იცითებს და მ. ბროსეს ჭვრინა, რომ აქ უნდა ყოფილიყო „ქესა“. (იხ. მ. ბრო-
სე, დასა. ნაშრომი. გვ. 221).

შერე აღვიდას მ. ბროსე ისე უპირებდა ამ საკითხს და შემდგენარად კითხულობს ვახტანგის
ბეჭდვზე მოცემულ სიტყვებს: „რტომ ვარ დავითის ძეუდლმა დავითის ვახტანგ ვამტკიცებ მეუის ძე-
ს“.

სილი ზემოხსენებულ „დ. ეპსა“ შემდგენარად გადმოვიდა აღექვსანდრე ჭვრინას ეს სიტყვები:
„რტომ ვარ დავითის ძეუდლმა დავითის ვახტანგ ვამტკიცებ მეუის ძე“.

ვახტანგის ბეჭდის სიტყვების არც ერთი ზემოხსენებული ამოკითხვა სწორი არ არის. დღეს ეს
საკითხი სრულიად გარკვეულია და არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ვახტანგის ბეჭდვზე სწორია
შემდეგი სიტყვები: „რტომ ვარ დავითის მეგლ ღომად ღვთის ვახტანგ ვამტკიცებ მეუის ძეობით“.



1712 აპრილში, სპარსეთის შაჰის ჰუსეინის (1694-1722) მიწვევით ისუჰაპანში ჩავიდა ქართლის მეფე ვახტანგ VI. შაჰმა ის მიიწვია იმისათვის, რათა დაემტკიცებინა ქართლის მეფედ, ვიორგი XI-ისა და ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ. მრავალ სხვა დიდებულებთან ერთად, ვახტანგს ახლდა სულხან-საბა ორბელიანი - ცნობილი ქართველი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. სპარსეთში წასვლის წინ ვახტანგმა ცოლშვილი გორში გაგზავნა, სოფო ქართლის მმართველად სიმონი დატოვა.

შაჰმა პატივით მიიღო ვახტანგი, მაგრამ ვიდრე ქართლის მეფედ დაამტკიცებდა, მას მოთხოვა სარწმუნოების შეცვლა, ისლამის მიღება და აღუთქა დადი მოწველება და თბილისში დაბრუნება. ვახტანგმა კატეგორიული უარი განუცხადა რეულის შეცვლაზე. შაჰმა ის ისპაჰანში დატოვა.

ისუჰაპანში ფოენის დროს, ვახტანგთან კონტაქტები ჰქონდათ ფრანგ მისიონერებს, კერძოდ, ჟან რიშარს და პიერ დ'ისუდენს. ამასთან დაკავშირებით, ამჟამად მე მეტი საბუთები მაქვს იმავე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებიდან, ვიდრე ამ 20-25 წლის წინ მქონდა, როცა ამ საკითგებზე ჩემი წიგნი გამოქვეყნდა¹.

რომიდან ისუჰაპანში მიმავალი ავატოპიოელი ეპისკოპოსი, რომელსაც უხეზიდა აღმოსავლეთში მისიონერების მოღვაწეობის საკითხები, 1711 წლის ავგუსტოში, რამდენიმე დღე თბილისში შეჩერდა. ამ დროს მასთან იყო ჟან რიშარი. ამრიგად დასტურდება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები: ჟან რიშარმა 1711 წლის ავგუსტოში, თბილისში ფოენის დროს ვაიცნო ვახტანგ მეფე და სულხან-საბა ორბელიანი და შედგა საუბარი საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ; ამ საუბრებს ესწრებოდა ავატოპიოელი ეპისკოპოსი, რომელთან ერთად იყო ჟან რიშარი და რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას განაგებდა; და ბოლოს, ჩემი სრული რწმენით, ავატოპიოელმა ეპისკოპოსმა და ჟან რიშარმა თბილისიდან მისწერეს წერილები რომში და პარიზში და სრული წარმოდგენა მისცეს ვახტანგ მეფეზე, სულხან-საბაზე და საერთოდ, საქართველოზე საფრანგეთის სამეფო კარსა და რომის პაპს, რისი შედეგიც იყო: საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სა და კანცლერი გრაფი დე პონშარტრენის მერ ვახტანგ მეფისადმი წერილების მიწერა და რომის პაპის კლემენტ XI-ის აქტიურობა საქართველოს სასარგებლოდ, სულხან-საბას პარიზში ფოენის დროს.

დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია, რომ ვახტანგ მეფემ 1713 წლის აპრილში საფრანგეთიდან ნამდვილად მიიღო ორი წერილი: საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ (კანცლერი) გრაფ დე პონშარტრენისაგან. 1713 წლის II მაისს ისუჰაპანიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „... 4 მაისს აღუკოს გზით მივიღე მისი უდიდებულესობის (ე.ი. საფრანგეთის მეფის. - ი.ტ.) და მისი აღმატებულების (ე.ი. კანცლერის. - ი.ტ.) წერილები საქართველოს მეფისათვის. ისინი მას მუარე დღეზევ გადაუ“

30". ("... le 4-e du courent j'ay reçu par voye d'Alep les lettres de Sa Majesté, et celle de Son Excellence pour le prince de Georgie; je les luy portay le lendemain..."²).

გარდა იმისა, რომ ეს წერილი ცუდი ხელითაა დაწერილი (ყველა სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ), ხელმოუწერელიცაა. მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მისი ავტორი ან პიერ დ'ისუღენია, ან ჟან რიშარი, ჩემი აზრით, უფრო პირველი. გვაქვს მეორე წერილი. ეს უკვე ჟან რიშარის დაწერილია. 1713 წლის 15 მაისს იგი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩს გრაფ დეზალორს სწერს: „მისი უდიდებულესობისა და მისი აღმატებულების წერილები, წარუდგინე საქართველოს მეფეს, რომელიც უკვე რამდენიმე ხანია, რაც ისეფაჰანშია. მან მიიხრა, რომ საპასუხო წერილების წაღებას ის მე დამავალეებს“. ("Le 15 mai 1713: ... a présenté les lettres de Sa Majesté, et celle de Son Excellence au prince de Georgie qui est à Ispahan depuis tems; il dit que chargerait de ses reponses"³).

აქ ერთი მომენტია: ამ წერილების მიხედვით გამოდის, რომ ორივემ ჩააბარეს ეს წერილები ვასტანგ მეფეს? ესეც შეიძლება. ჟან რიშარი ამ დროს მარტო მისიონერი არ იყო, ის იმ პერიოდში გარდაცვლილ ავტობიოგრაფებს კოსტოსის შემცველიც იყო, ე.ი. მეთაურობდა სპარსეთში და საქრთოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს.

ზოგიერთი საბუთიდან, მიიღვ ნათლავ არა, მაგრამ ჩანს, რომ ვასტანგ მეფემ, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის გრაფი დეზალორს წერილიც მიიღო.

აი რა მღვთმარობაში იყო ვასტანგ მეფე ისეფაჰანში, შაჰის „ტყვეობაში“ ყოფნის დროს და რამ განაპირობა, რომ მან გადაწყვიტა, ჯერ საპასუხო წერილები ვაგზავნა პარიზში, ჟან რიშარისათვის გაეტანებინა ისინი, ხოლო შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აჯობებდა საკუთარი ელჩის ვაგზავნა და ამ ელჩად მან დანიშნა, მისი ახლობელი, ყველაზე სანდო, განათლებული და მასწავლებელი – სულხან-საბა ორბელიანი.

ვასტანგ VI საერთოდ დასავლური ორიენტაციის პიროვნება იყო. მუსლიმანური ძალების შემოსევისაგან საქართველოს განთავისუფლებას, დასავლეთის ქვეყნებიდან დახმარების მიღებაში ეძებდა, ხოლო ისეფაჰანში ჩასვლის შემდეგ, მას კიდევ უფრო განუმტკიცდა ეს აზრი.

ისეფაჰანში მყოფი ვასტანგი უფრო ყურადღებით და დეტალურად გაეცნო სპარსეთის შინაგან მღვთმარობას: სულიანების დინასტია ღრმა პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. გარედან მას ავღანელების შემოსევა მოელოდა, ხოლო ამ შემოსევას შაჰის ძალები ვერ გაუძლებდნენ.

ამასთანავე, ვასტანგ მეფეს ამხეველებდნენ პარიზიდან მიღებული წერილები. ეს წერილები ქება-დიდებას ასხამდნენ ვასტანგის სიმტკიცეს ქრისტიანობის შენარჩუნებაში, რაც ფრანგი მისიონერების საშუალებით იცოდნენ პარიზსა და რომში. ამ წერილებმა საფრანგეთიდან დახმარების მიღების იმედი მისცა ვასტანგ მეფეს.

როგორც უკვე ითქვა, ვახტანგ მეფემ საბოლოოდ გადაწყვიტა პარიზში რომში გაეგზავნა თავისი ელჩი - სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ბოლოდა რიშარს.

სულხან-საბა დაბრუნდა საქართველოში, გორში. ვახტანგ მეფე შაჰის „ტყვეობაში“ დარჩა. მასთან კონტაქტები პქინდა ჟან რიშარს. ყველა გადაწყვეტილება მიღებული იყო იხეაპინიდან სულხან-საბას წამოსვლამდე. საბოლოო წერილები ვახტანგმა სულხან-საბას იხეაპინიდან წამოსვლის შემდეგ დაწერა და ჟან რიშარს გამოატანა გორში სულხან-საბასათვის გადასაცემად.

ამ დროს შაჰ პუსეინმაც გადაწყვიტა თავისი ელჩი გაეგზავნა პარიზში, ელჩის პიროვნების შერჩევა შაჰმა ერევნის ხანს დაავალა. მაშინ ერევანი იყუვე, როგორც მთელი სომხეთი, სპარსეთის მიერ იყო ოკუპირებული და იქ სპარსელი ხანი (გუბერნატორი) იჯდა. შაჰმა საფრანგეთის მეუისათვის განკუთვნილი საჩუქრები და წერილები ჩააბარა მისიონერ ჟან რიშარს და გაგზავნა ერევანში, რათა იქ შეერთებოდა სპარსეთის ელჩს და მასთან ერთად საფრანგეთში წასულიყო. ჟან რიშარს კი სხვა გეგმები პქინდა. მას აღრე პქინდა მიღებული ვახტანგ მეფის დავალება და სულხან-საბა კი გორში ელოდებოდა. შაჰის დავალების ზუსტად შესრულების შემთხვევაში, ვახტანგის მთელი გეგმა ჩაიშლებოდა. ჩანს ჟან რიშარი ვახტანგის გეგმებს უფრო უპყრდა შარს.

ჟან რიშარმა შესანიშნავად გაართვა თავი შაჰის დავალებას. იგი საჩუქრებით და შაჰის წერილით ჩავიდა ერევანში, სადაც პარიზში გასაგზავნი ელჩი ჯერ კიდევ არ იყო შერჩეული. ყველაფერი ჩააბარა ერევნის ხანს და უთხრა, რომ მას ექარება, პარიზში ელოდებიან და სპარსეთის ელჩს მარცხელში დახვლებოდა. რიშარი თბილისზე გაეღით გორში ჩავიდა, სადაც მას სულხან-საბა ელოდებოდა. 1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა და ჟან რიშარი გორიდან წავიდნენ. ისინი დასავლეთ საქართველოში - ქუთაისში ჩავიდნენ და გელათში შეხვდნენ დასავლეთ საქართველოს პატრიარქს გრიგოლს, რომელიც როგორც ჩანს, იზიარებდა ვახტანგ - სულხან-საბას გეგმებს საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხებში (სავაჭრო გზის გასვლა საქართველოზე, კათოლიკობის გავრცელება საქართველოში და სხვ.) კათალიკოსი გრიგოლის პიზიციის დამდასტურებელი ის იყო, რომ მან თავისი კაცი - ბერი დავით მეგრელი გააყოლა ევროპაში მათ და მისიონერების ჩამოსვლას ითხოვდა საფრანგეთდან.

კათალიკოს გრიგოლთან საუბრების დროს ისინი განიხილავდნენ საქართველოზე სავაჭრო გზის გასვლის საკითხს. საფრანგეთისაკენ მიმავალი ჟან რიშარი, პარიზში ჩასვლამდე, წერილობით ატყობინებდა თავის მინისტრს, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის გრიგოლის რჩევით, მან იპოვა ხელსაყრელი გზა ფრანგი ვაჭრებისათვის, თუ ისინი მოისურვებენ გაიარონ კონსტანტინოპოლზე, შავ ზღვაზე და საქართველოზე, რათა მიღწიონ სპარსეთამდე.

ჟან რიშარი და სულხან-საბა დასავლეთ საქართველოში დარჩნენ 40 დღე ჟან რიშარის ასე დიდ ხანს აქ დარჩენის მთავარი მიზანი იყო სავაჭრო გზა

სათვის აღვიღების შერწყვა. მან გაიარა შავი ზღვის მოელ ხანაპიროზე და აღ-
დგ მონასა ასეთი გზა. ამრიგად, სულხან-საბა ევროპაში მიემგზავრებოდა არა
მარტო როგორც ქართლის, არამედ მოელი საქართველოს წარმომადგენელი.

1713 წლის 17 ნოემბერს სულხან-საბა, ჟან რიშარი და დავით მეგრული
კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ. გრაფმა დეზალორმა ისინი კარგად მიიღო. ისინი
კონსტანტინოპოლში დარჩნენ ერთი თვე. 1713 წლის 16-17 დეკემბერს,
გრაფმა დეზალორმა წერილები გაგზავნა მარსელში, პარიზში და რომში და
შეატყობინა სულხან-საბა ორბელიანის შესახებ. ის გრაფ დე პონშარტრენს
სწერდა, რომ ისინი კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრებოდნენ საფრანგეთის
გზით „მიძინება“.

ენი იყო გრაფი დე პონშარტრენი? გრაფი დე პონშარტრენი იყო საფრან-
გეთის სახელმწიფო მდივანი, საზღვაო მინისტრი და კანცლერი (დღევანდელი
ტერმინოლოგიით: პრემიერ-მინისტრი).

ლუი ფელიპო პონშარტრენი, პონშარტრენის გრაფი, ფრანგი სახელმწიფო
მოღვაწე, დაიბადა 1643 წლის 29 მარტს და გარდაიცვალა პონშარტრენში
1727 წლის 22 დეკემბერს - 84 წლის ასაკში. იგი თანამედვერობით იყო: პა-
რიზის პარლამენტის მრჩეველი და მეფის სასახლეში შემოსული წერილების
მომხსენებელი კომისარი (1661 წ.), ბრეტანის პარლამენტის პირველი თავ-
მჯდომარე (1677 წ.), ფინანსების ინტენდანტი (1687 წ.). ფინანსების გენერა-
ლური კონტროლიორი (1689 წ.), საზღვაო დეპარტამენტისა და მეფის სასახ-
ლის სახელმწიფო მდივანი (1690 წ.). რჩებოდა რა ფინანსების კონტროლიორის
თანამდებობზეც), იმავე დროს, აკადემიის დირექტორი და ბოლოს, კანცლერ-
ი.

როგორც ვხედავთ, ლუი ფელიპო პონშარტრენი მეორე კაცი იყო მეფის
შემდეგ საფრანგეთში და მეფე-ში ლუი XIV-ის მარჯვენა ხელი.

ლუი ფელიპო დე პონშარტრენი ასრულებდა კიდევ ერთ თანამდებობას,
რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანის
მისიის დაღებიდან დაგვირგვინებისათვის: მისი მფარველობისა და მშროველო-
ბის ქვეშ იყო აღმოსავლეთის საკითხები, საფრანგეთის აღმოსავლური პოლი-
ტიკა. მის აზრს აღმოსავლეთის საკითხებში იზიარებდა მარკიზ დე ტორსი,
რომელიც იმ დროს განაგებდა საფრანგეთის საგარეო საქმეებს.

აი ვისი მხარდაჭერით მოქმედებდა ასე აქტიურად ჟან რიშარი და რა
იმელები შეიძლებოდა ჰქონოდა სულხან-საბას, როდესაც ის მოლაპარაკებებს
წეწოდა მარსელში და პარიზ-ვერსალში.

გრაფი დე პონშარტრენი და მარკიზ დე ტორსი, ჟან რიშარისა და ელჩი
გრაფი დეზალორის საშუალებით ვველა დეტალების კურსში იყვნენ, როცა პა-
რიზში ჩავიღოდა ვახტანგ VI-ის ელჩი სულხან-საბა ორბელიანი.

ელჩმა გრაფმა დეზალორმა კონსტანტინოპოლიდან ორი წერილი გაუგზავ-
ნა კანცლერ გრაფ დე პონშარტრენს. პირველ წერილში ნათქვამია: „ბატონი
რიშარი, რომელიც გაემგზავრა სპარსეთში აწვანსვენებულ მისიონერის ეპისკო-
პოსის აგატაპოლელთან ერთად, ჩამოვიდა კონსტანტინოპოლში 17 ნოემბერს

(1713 წ. - იტ.) ისეაპანიდან თბილისზე გავლით. მან გაიარა სამხრეთისკენ
შავ ზღვამდე და ზღვით წამოვიდა კონსტანტინოპოლში. მასთან მოდის საქარ-
თველოს მეფის ბიძა (დედიდან), რომელმაც ორჯერ ქორწინების შემდეგ ნაყო-
ვად წმ. ბასილის ბერის სამოსელი. იგი 55 წლისაა და მიუძღვარება საღვთო-
ვად იერუსალიმში⁴.

მათ ორივეს შიშვეთ საქართველოს მეფის საბაჰუხო წერილები მის უდი-
დებულეობასთან, რომელმაც დიდი პატივი დახლო მას და მისწერა წერილი.
მე ისინი მივიღე საფრანგეთის სასახლეში. ისინი აქედან საფრანგეთში უნდა
წავიღებ საფრანგეთის გემით, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა ნავსადგურში
დგას.

ბატონ რიშარს აქვს რამდენიმე მოხსენებითი ბარათი საფრანგეთის ვაჭ-
რობის დამყარების შესახებ ხაბრსეთთან და საქართველოსთან..."

მეორე წერილში ნათქვამია: „ბატონ რიშარი თან ახლავს საქართველოს
მეფის ბიძას (დედიდან), სახელად სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც წმ. ბა-
სილის ბერის ტანისამოსშია ჩაცმული და მეორე ბერს, რომელმაც სამხრეთ-
ლოს პატრიარქი ავხანის საფრანგეთში, რათა გამოინახოს საშუალებები გა-
თოლიკური მისიონების დახაარსებლად საქართველოში და მის მქონებელ პრო-
ვინციებში.

ბატონ რიშარის სიტყვებით, ის პატრიარქი და იმ ქვეყნის ბატონები აცხა-
ლებენ მზადყოფნას, დაეხმარონ და სული შეუწყონ ამ წამოსწევას, გამოუყოფნ
რა მათ აღვიღებს, ხალაც მისიებს შეეძლებათ თავისუფლად არსებობა..."

თავის დასკვნაში ელჩი დეზალორი მოუთითებს იმ „მდიდარ მოხაველზე“,
რომელიც შეიძლება მოჰყვას ამ წამოსწევებს.

საქმე ის იყო, რომ საფრანგეთის აღმოსავლურ პოლიტიკის პარისში
მხარს უჭერდა ორი დიდი პიროვნება: გრაფი დე პონშარტრენი და მარკის დე
ტარსი. ეს იცოდნენ უან რიშარმა და სულხან-საბამ. ამიტომ ვახტანგ მეფისა
და სულხან-საბას მიერ გადაღებული ნაბიჯი, წინააღმდეგობა გააჩვენებელი და აწირ-
დაწირილი იყო. უან რიშარის საშუალებით, მათ იცოდნენ, თუ ვინ უჭერდა
მხარს მათ პოლიტიკას; რამდენად იყო დაინტერესებული საფრანგეთი თავის
ვაჭრობის განვითარებით აღმოსავლეთში; რა ადგილი ეთმობოდა აქ საქართვე-
ლოს; რომ ვახტანგ მეფის, ხ. - ხ. ორბელიანისა და პონშარტრენ-ტარსის გვერ-
დის ვანბორციელების შემთხვევაში შავი ზღვის კარები და საქართველოს (ამ
ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყნის) ტერიტორია გაიხსნებოდა საფ-
რანგეთის ვაჭრობისათვის.

მასალები, რომლებიც ინახებიან მარსელის ქალაქისა და დეპარტამენტის
არქივებში და რომლებსაც (1962 წ.) პირველად მე გავუცანი, ძალიან საინტე-
რესო აღმოჩნდა. მათ უფრო, რომ სულხან-საბას ჩანაწერების პირველი ნაწი-
ლი (გამგზავრება ევროპაში, მისი ფონა კონსტანტინოპოლში, მარსელში, პა-
რიზ-ვერსალში, უკანვე მარსელის ჩამოსვლაამდე) დღემდე ჩვენთვის დაკარგუ-
ლია. სულხან-საბას ჩანაწერების მეორე ნაწილი, რომელიც ჩვენ ვვაქვს, იწვე-
ბა მარსელიდან რომში გამგზავრებით.

საფრანგეთის გეზის „მიძინების“ კაიტანისა ურსეუ აბეის, რომელიც კონსტანტინოპოლიდან გავიდა 1713 წლის 17 დეკემბერს, არჯანტიერისა და ნაგორინის ნავსადგურებში შესვლის შემდეგ, 1714 წლის 22 იანვარს მარსელში ჩავიდა და იქ ჩაიფანა ჩვენს მიერ შემოსხენებული სამულო.

ისინი თითქმის ორი თვე დარჩნენ მარსელში. სულხან-საბა აქ გაშალა აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა: წერილი გაუზავნა რომის პაპთან, მას შეატყობინა მისი მიხიის შესახებ და თხოვა შინაგადაჭერა საფრანგეთის მეფის წინაშე; მან კონტაქტები დაამყარა მარსელის სელმსჯელობასთან, პქინდა მათთან შეხვედრები და საუბრები. 29 იანვარს მარსელის ქალაქის რატუშაში მოეწყო მარსელის სავაჭრო პალატის ბიუროს გაფართოვებული სხდომა, სადაც წაიკითხეს გრაფი დეზალორის წერილი, წერილი კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი საფრანგეთის ვალერებისა და ვაჭრობის გენერალური ინტენდანტის პიერ დ'არნუს სახელზე სულხან-საბას შესახებ.

1 თებერვალს ფან რიშარმა წერილობით მოახსენა პიერ დ'არნუს სულხან-საბას შესახებ და წარუდგინა ანგარიში საქართველოდან აბრეშუმის სელსაფრულ პირობებში მღვდლის შესადგულობის შესახებ. ხანგრძლივი და შინაარსიანი მოლაპარაკება იყო პიერ დ'არნუსთან, რომლის შედეგად შედგა ვრცელი მემორანდუმი. (ამ მემორანდუმის სრული ტექსტი ფრანგულად, ქართული თარგმანით, აქ იბეჭდება).

სულხან-საბა მარსელში დარჩა 1714 წლის მარტის შუა რიცხვებამდე. შემდეგ იგი თავისი თანმხლები პირებით გაეხზავრა პარიზში, სადაც ჩავიდა 21 მარტს და არა „1714 წლის აპრილის დასაწყისისათვის“, როგორც ეს აღნიშნული აქვს მ. თამარაშვილს.⁴

პარიზთან ახლოს სულხან-საბას შესვლა საფრანგეთის მოავრობის ორი წარმომადგენელი. მათ შორის, ერთ-ერთი იყო დე მარე. 21 მარტს პარიზში კი, სულხან-საბას გრაფი დე პონშარტრენის სახელით მიესალმა მამა პოტიე. 22 მარტს ფან რიეარმა წერილობით მოახსენა გრაფ დე პონშარტრენს პარიზში სულხან-საბას ჩასვლის შესახებ და სულხან-საბას სურვილზე შეხვედროდა მას. აქვე ფან რიშარი სწერდა გრაფ დე პონშარტრენს: „თუ თქვენი დიდებულება ნებას დარმთავს, ხვალ დილით თქვენთან მოვალ და დეტალურად მოგახსენებთ ყველაფერზე.“⁵

როგორც სხვა საბუთებიდან ირკვევა, 23 მარტს ფან რიშარი შეხვედროდა პონშარტრენს.⁶

ს.-ს. ორბელიანმა, მისთვის ჩვეული ენერგიით, ისევე როგორც მარსელში, პარიზშიაც გაშალა დიდი დიპლომატიური მოღვაწეობა. გაჩაღდა აქტიური მიწერილობა ს.-ს. ორბელიანის მიხიის შესახებ საფრანგეთის სელისუფლების წარმომადგენლებს შორის. ყველა ამ საქმეში აქტიურ როლს ასრულებდა ფან რიშარი, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული სულხან-საბას მიხიასთან დაკავშირებული საკითხების დადებითად გადაჭრით.

მავე 21 მარტს ს.-ს. ორბელიანმა პონშარტრენთან გაუზავნა შემოსხენებული დემარე⁷. ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალებიდან არ ჩანს, დემა-

რემ სულხან-საბას შესახებ ზემოთაღ მოახსენია პონშარტრენს, თუ რიშარტრენს სულხან-საბას წერილი გადასცა. 22 მარტს რიშარი პონშარტრენს სწერდა: „მას (სულხან-საბამ, - ი.ტ.) თქვენ გამოვიგზავნათ ბატონი დემარე... ის ძლიერ კმაყოფილია“⁸.

23 მარტს თვითონ სულხან-საბამ მისწერა წერილი პონშარტრენს, რომლითაც აცნობა პარიზში ჩასვლის ამბავი: „მე სულხან-საბა ორბელიანი ამ წიგნს ვწერ, და ამას გაცნობებ რომ თქვენის მადლის მეფის ბრძანებით, წყალობითა და ნიჭითა, აქ დიდს ქალაქს ფარიზს მოვედით, და... ვახტანგ ქართველთ მეფის პასუხები დიდებულთანაცა, და თქვენთანაცა მოვიტანე; როდესაც გინდათ, თქვენთან მოვალ“⁹.

პარიზში ჩასვლისთანავე სულხან-საბამ სასტუმროზე უარი თქვა და საყრანგეთის სვლისუფლებას სენ-ლაზარის მონასტერში ცხოვრების ნებართვა სთხოვა.

25 მარტს ეან რიშარი თავის მინისტრს სწერდა: „სულხან-საბა... განუწყვეტლივ ვთხოვთ თქვენ მყარველობას მისი უდიდებულესობის წინაშე... რათა მიიღოს მოწყალება - აქ ყოფნის დროს იცხოვროს საღვთო სახლში“¹⁰. როგორც სხვა საბუთებიდან ირკვევა, ს.-ს. ორბელიანს მიუღია ასეთი ნებართვა და უცხოვრია პარიზის სენ-ლაზარის მონასტერში¹¹.

25 მარტს ეან რიშარმა კვლავ აცნობა თავის მინისტრს სულხან-საბას სურვილი - შეხვედროდა მეფე ლუი XIV-ს და დაეთავალიერებინა პარიზის ღირსშესანიშნაობანი¹². „თქვენმა დიდებულებამ უწყის სურვილი, - სწერს ეან რიშარი მინისტრს, - რომელიც მას (სულხან-საბას, - ი.ტ.) - აქვს იხილოს მეფე“¹³.

მეფესთან შეხვედრის მილოდინში ს.-ს. ორბელიანს გადაუწყვეტია, დაეთავალიერებინა პარიზის ღირსშესანიშნაობანი. „რადგან თქვენ, - სწერს რიშარი პონშარტრენს, - ჯერ კიდევ არ გავიციათ განკარგულება, ეწვევებით სულხან-საბასათვის პარიზის ღირსშესანიშნაობანი, ამიტომ სულხან-საბა... კითხვის შემდეგ შეუძლია თუ არა მას ცოტა ხანს გასეირნება შუაღვეს, - წავიყვანეთ პირველსავე ეკლესიაში წირვის მოსასმენად“¹⁴.

ს.-ს. ორბელიანი წაუყვანიათ ეტლით, და მას ეტლიდან ჩამოუსვლელად დაუთავალიერებია სამეფო მოედანი და დუკერი¹⁵. შემდეგ შესულა იეზუიტებს „ნეტარ მამათა ეკლესიაში, სადაც ის კარგად მოუღია მამა დე ტელიეს, რომელთანაც იგი შეუყვანია იეზუიტთა კომპანიის დევეანტის მისიების გენერალურ პროკურორს ნეტარ მამა ფლერიოს“¹⁶.

ნეტარმა მამა დე ტელიემ „გამოაგლინა თავისი მადლიერება მისადმი ამ მყარველობისათვის, რომელსაც ის აღმოუჩენს და უწყევს მისიებს საქართველოში“¹⁷.

ს.-ს. ორბელიანის პარიზში ყოფნის პერიოდში პარიზის თეატრში იღვქმბოდა ფრანგი დრამატურგის პ. კრებიიონის¹⁸ ცნობილი ტრაგედია „რადამისტ და ზენობია“¹⁹. ქართველთა ყოფის ირგვლივ შექმნილი ამ ნაწარმოების დაღმს სულხან-საბას პარიზში ყოფნის დროს ფრიალ საინტერესო ფაქტია.

1714 წლის 25 მარტს ს.-ს. ორბელიანიმა ლუი XIV-თან წარსადგენად/მემორანდუმი გადასცა პონაპარტრენს²⁰. ამ მემორანდუმში ვკითხულობთ: „თუ ვახტანგი, საქართველოს მეფე, დარჩება ისეაჰანში, საქართველო მთლიანად გამაჰმადიანების აშკარა საფრთხეშია. თუ ის დაბრუნდება თავის საფლობელოებში, ქართველები არა მარტო შეინარჩუნებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, არამედ ასევე შეუერთდებიან კათოლიკურს თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც განწყობილია გააკეთოს ეს და რომელიც მიაწერს თავის უბედურებას ამ საქმის დაფიქრებას. მან გამოთქვა სურვილი მეტი აღარ დააყოვნოს, როგორც კი დაბრუნდება თავის სამეფოში.

ამ მეფის განზრახვა უფრო მეტიცაა; მას სურს მისიონერებს მისცეს ქმედითი საშუალებები, მიაღებინოს ეს სარწმუნოება ჩერქეზეთს, რომელიც ესაზღვრება საქართველოს და რომლის მთავრის ერთ-ერთი ქალიშვილი მან ცოლად შეირთო“²¹.

ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში კათოლიკური სარწმუნოება შეიძლებოდა გავრცელებულიყო „მჭიდროდ დასახლებულ დაახლოებით 24 პროვინციასა და მრავალ მეზობელ სამეფობელოებში“²².

მაგრამ, ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ვახტანგის დაბრუნება საქართველოში. სულხან-საბა ითხოვდა საქმეში საფრანგეთის მეფის ჩარევას. საჭირო იყო ირანში საფრანგეთის მეფის ისეთი რწმუნებულის გაგზავნა, რომელიც მოაგვარებდა ვახტანგის განთავისუფლების საქმეს. გარდა ამისა, სულხან-საბა საფრანგეთის მეფეს სთხოვდა ფულს, რომელიც ამ უკანასკნელს უნდა გაეღო ვახტანგის გასათავისუფლებლად. მემორანდუმში ვკითხულობთ: „300000 გყო აუცილებელია და საკმარისი, მაგრამ როგორ შეუძლია საქართველოს მეფეს დაიმსახუროს ეს წყალობა“²³.

შემდეგ მემორანდუმში დაბარაკია დასავლეთ საქართველოში მისიონერების გაგზავნაზე. „ამ წყალობის შემდეგ, რომელსაც მე ვუძღავ ვთხოვო ვახტანგისათვის საფრანგეთის უძლევეამოსილეს იმპერატორს, მრჩება კიდევ წარუდგინო მას სამეგრელოს პატრიარქის²⁴ უმდაბლესი თხოვნა. ამ პრელატმა, რომელსაც მე ძალიან დიდი ხანია რაც ვიცნობ როგორც სათნო ადამიანს, მის სამეფობელოზე გამოვლინებს მეტად დაეინებით მთხოვა რვა ან ათი მისიონერი ვთხოვო მის უდიდებულესობას – ყველა მისის მფარველად და მხარდამჭერად აღიარებულს მთელს ლეკანტში.

ამ პატრიარქის განზრახვაა შეუერთდეს პაპის წმიდა ტახტს და იმუშაოს ამ მისიონერებთან ერთად აბაზების (აბხაზების. – ი.ტ.)²⁵ მოქცევისათვის და თავისი სიტყვების გულწრფელობის საწინდრად მან მე გამოიმყოფა ბერი – სახელად დავითი, რომელსაც ის ხავესებით ეწოდება. დავითმა მას უნდა ჩაუყვანოს მისიონერები, რომლებსაც იმედი აქვს მისი უდიდებულესობა კეთილ ინებებს და უბოძებს მას...“²⁶. მაგრამ მთავარია ვახტანგის განთავისუფლება და დაბრუნება საქართველოში; ამისათვის საჭირო იყო სეფიანების გულის მოგება, „რაც შესაძლებელია მხოლოდ საჩუქრებით, რომელთა გაღების საშუალება ამ მეფეს (ვახტანგს. – ი.ტ.) ამჟამად არა აქვს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ძა-

ლიან ცოტა ხანია, რაც მეუფობს და სხორე იმიტომ, რომ მას უკვე მოუხდა დიდი ხარჯების გაწევა“²⁷.

და, თუ საფრანგეთის მეფე იხურეებს დენსაროს ვახტანგს, აწვევს უფრო ქმედით საშუალებას ამის მისაღწევად წარმოადგენს ის, რომ კუთვნილების მას გაუზზავნოს პიროვნება, რომელსაც ენდობა უდიდესი მონარქი. საჭირო დახმარებით, რათა ვახტანგს საშუალება მიეცეს სპარსელი მესვეურების გული მოიგოს, და მეფემ მიმართოს წერილით სპარსეთის შაჰს, რომელშიც მისი უდიდებულესობა სთხოვდა მას ებრძანებინა იმათთვის, ვინც განმგებლობს საქართველოში, მეფეთ, ზომბს, რათა ფრანგებმა, რომლებიც იქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წახალვად, ეს გააკეთონ სრულიად უშიშრად“²⁸.

ამ საბუთის მხოლოდ ფრანგული ტექსტი არსებობს, მისი ქართული დედანი (თუ საერთოდ არსებობდა ასეთი) დღემდე არაა ნაპოვნი, შესაძლებელია, ვან რიშარმა იგი შეადგინა სულხან-საბას კარნახით პირდაპირ ფრანგულ ქაზე. საერთოდ ამ დოკუმენტს აქვია შუა და ბოლო ნაწილი.

დედანი შედგება ვან რიშაროს ხელით დაწერილი რვა გვერდისაგან. ეს მემორანდუმი იმ სახით, რა სახითაც დღეს მოგვეპოვება, პირველად ფრანგულ ენაზე აკდ. მ. ბროსემ გამოაქვეყნა²⁹.

1876 წელს ამ მემორანდუმის ქართული არაზუსტი თარგმანი გამოაქვეყნა ალ. ჭყონიამ³⁰.

შემდგომში მემორანდუმის ფრანგული ტექსტი ქართული თარგმანით გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა³¹. მაგრამ მ. თამარაშვილთან ფრანგული ტექსტი მოკლებულია სიზუსტეს, გამოტოვებულია ბევრი სიტყვა, ქართული თარგმანიც არაზუსტია და წყარო შეცდომითაა მითითებული.

ს.-ს. ორბელიანმა საფრანგეთში ჩაიტანა ვახტანგ VI-ის წერილი დუ XV-ს სახელზე³². ეს იყო პასუხი საფრანგეთის მეფის იმ წერილისა, რომელიც ვახტანგისათვის გადაუციათ 1713 წლის მაისში.

ვახტანგ VI-ის წერილი ქართულად ვიოჟდა დაწერილი. იგი ფრანგულად უთარგმნია ვერსალში ქართული ენის მცოდნეს ვან რევერანს 1714 წლის 7 აპრილს³³. წერილის ბოლოს მიწერილია: „თარგმნილია ჩვენს მიერ, მეფის დრავმანი“³⁴ პალესტინაში, ვალილეაში, სამარიაში და თულეაში. ვერსალი, 1714 წლის 7 აპრილი [ხელისმოწერა] ვან რევერანი“³⁵. აღნიშნული წერილი ფრანგულად პირველად გამოაქვეყნა აკად. მ. ბროსემ³⁶. მაგრამ ტექსტი ნაკლებია.

1876 წელს „ივერიაში“ ალ. ჭყონიამ მოათავსა მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ვახტანგის ამ წერილის ქართული თარგმანი, მაგრამ ეს თარგმანიც არ არის ზუსტი³⁷.

1950 წელს ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლენგმა გამოაქვეყნა ვახტანგის შემოხსენებული წერილის ფრანგული ტექსტი³⁸, რომელიც მას საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან აუღია, თუმცა არც ეს ტექსტი ემთხვევა სავსებით ზუსტად დედანს³⁹.

ვანტანვის წერილში გამოთქმულია საქართველოს მეფის სურვილი, დაბ-
ყროს კავშირი საფრანგეთთან: „ჩვენ, ვანტანგ, საქართველოს მეფე, მხოლოდ-
ლელ ვეძებთ შემოსხვევას ვემსახუროთ თქვენს უდიდებულესობას...“⁴⁰

ამ წერილიდან ჩანს, რომ საქართველოს მეფე თვალს ადევნებდა ევროპის
ამბებს, ჩვენი „სიხარული გაორკეცდა, როცა გავივით თქვენი დიდი გამარჯვ-
ბები და დიდება, რომლითაც შემოსილია თქვენი მეტად მაღალი ტახტი. ჩვენ
არ დაგვიფოვნებია, ამის გამო მაღლი გვეთქვა უზენაესისათვის“⁴¹.

ვანტანვი აღნიშნავს, რომ ეპისკოპოსმა გალიკსონმა საქართველოში ფოენის
დროს ვერ იგრძნო „ფოველივე ის, რისი გაკეთებაც ვგზურს და რასაც გავაკეთებთ
ფოველითვის, რათა დავემტკიცოთ თქვენს უდიდებულესობას ჩვენი უმაღლესი
მადლობა: ვგზურს, რომ თქვენ ამაში კარგად იყოთ დარწმუნებული. მიუხედავად
იმისა, რომ ჩვენ ჩავვარდით ურწმუნოთა ხელში, რომლებმაც მოატყუეს ჩვენი წი-
ნამორბენი, და რომ ვართ აქ დახმარებას მოკლებულნი, როგორც ისრაელნი
უცხო ხალხში მათი მამების ცოდვებისათვის. ჩემი შვილები და ძმები, რომლებიც
ჩემს მავიერ ვანაგებენ ჩემს სამფლობელოებს, გააკეთებენ ზუსტად და სიყვარუ-
ლით აღსაყვ ევლით ფოველივე იმას, რასაც ჩვენ მათ ვუბრძანებთ, თქვენი უდი-
დებულესობის სამსახურისათვის, როდესაც თქვენ ამას გვაცნობებთ“⁴².

ამავე დროს პარიზში მიუღიათ პაპი კლიმენტი XI-ის წერილი ღუი
XIV-სადმი, დაწერილი 1714 წლის 13 აპრილს, საქართველოს მეფის ვანტან-
ვისადმი დახმარების აღმოჩენის თაობაზე. ეს წერილი უნდა მიეღო სულხან-სა-
ბას და პირადად გადაეცა საფრანგეთის მეფისათვის⁴³.

საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში პაპი მაღალ შეფასებას აძ-
ლევდა ღუი XIV-ის ზოვნას კათოლიკური სარწმუნოებისა და მისი გავრცე-
ლებისადმი და მიუღს გამოსთქვამდა, რომ მეფე აღმოჩენდა მფარველობასა და
დახმარებას საქართველოს „მეფეს ანუ მძრძანებელს, რომელსაც, მიწვეულს
ამას წინათ სპარსეთის შაჰთან, ტყვეობაში აწერებენ“.

ფოველივე ამის შესახებ, წერდა პაპი, „უფრო დაწვრილებით გაიგებ საუ-
კეთესო ღვთისმოსავი მოღვაწე საქართველოს სწორედ იმ ბრძანებლის ნათესავ
სულხან-საბა ორბელიანისაგან, წმიდა ბასილის ორდენის ბერისაგან, რომელიც
გაღმთგეგმს შენ ამ ჩვენს უსტარს...“⁴⁴.

„ჩვენ ასევე დაბეჯითებით ვთხოვთ, რათა მას, შენებურად მოეხმინო და
კუილვანწვობილი დაბეჯითებით მტკიცეღ მოითხოვო ზემოსხენებული მძრძა-
ნებლის განთავისუფლება. ამ სამსახურით შენ ევკვს გარეშეა გავვიწვევ შენი
სახელოვანი ღვთისმოსაობისადმი საკადრის დიდად ღირსეულ საქმეს, ჩვენთვის
ურაად სასურველს, ღმერთისაგან კი, რომლისთვისაც უპირველესად ფოვლისა
ეს ხდება, შეიძლება მოელოღ შენდამი სამუღამო საზღაურს და მომაკვდავთა
შორის ხანგრძლივ ბედნიერებას...“⁴⁵.

რომის პაპის ეს წერილი გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა⁴⁶, მაგრამ მ. თამა-
რაშვილთან წერილის ქართული თარგმანი და თვით ლათინური ტექსტიც არა-
ზუსტია. ამ წერილის მხოლოდ ლათინური, შედარებით ზუსტი ტექსტი მ. თა-
მარაშვილმა გამოაქვეყნა თავის მეორე წიგნში.⁴⁷

პაპის წერილის ტექსტი ჩვენ ავიღეთ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტროს არქივის სპარსეთის საქმეებიდან⁴⁸. იმავე არქივის რომის საქმეებში კი ვიპოვეთ პაპის იმავე წერილის მეორე ტექსტი⁴⁹, რომელიც უმნიშვნელო იფიქრება, რაც შემოსხენებული წერილი, თუ მხედველობაში არ მოვიტყობთ მის დასაწყისსა და ბოლოს. ვარდა ამისა, ამ მეორე წერილს აქვს ურანგულ ქაზე რამდენიმე საინტერესო მინაწერი.

როლის მიიღო მეფემ ს.-ს. ორბელიანი სუსტად არაა ცნობილი. როგორც საარქივო მასალებიდან დასტურდება, სულხან-საბას პირველი შესვლაა ლუი XIV-თან უნდა მომხდარიყო 1714 წლის 14 აპრილამდე.

როგორც ხემათ აღვნიშნეთ, ვახტანგ VI-ის წერილი ურანგულად უთარგმნიათ ვერსალში 1714 წლის 7 აპრილს. ამასთანავე, ჩვენ ვგაქვს ჟან რიშარის ერთ-ერთი წერილი, დაწერილი იმავე წლის 14 აპრილს, სადაც იგი სთხოვს თავის მინისტრს: „ვთხოვ თქვენს დიდებულებას, ნება დამართოს, რამდენიმე ხნით ჩამოვშორდე ბატონ სულხან-საბას, რათა გავემგზავრო ჩემი ოჯახის სანახავად. ბატონ რევერანს შეუძლია ჩემს მოხვლამდე აჩვენოს მას პარიზისა და მისი რაიონის ღირსშესანიშნაობანი“⁵⁰.

ამ დროისათვის სულხან-საბას უკვე უნდა ჰქონოდა პირველი აუდიენცია ლუი XIV-თან, რაც ჩანს ჟან რიშარის წერილიდან მინისტრისადმი. „ბატონი სულხან-საბა, რომელმაც მე მომანდო დამედასტურებინა მისი პატივისცემა თქვენი დიდებულებისადმი და რომელსაც სურს გაემგზავროს, რაც შეიძლება უფრო მალე, რომში, მარჩარებს, დაუყოვნებლივ გაემგზავრო ჩემს სამშობლოში...“⁵¹.

ს.-ს ორბელიანს უკვე ჰქონია აუდიენცია საფრანგეთის მეფესთან, რაღაც რომში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ცხადია, რიშარი ვერ ჩამოშორებულა მას, ვიდრე ისინი საფრანგეთის მეფეს არ შესვლებოდნენ.

ვარდა ამისა, რიშარს 1714 წლის 14 აპრილს წერილი გაუგზავნია მარსელში გაღურებისა და ვაჭრობის გენერალური ინდენდანტის პიერ დ'არნუს-თვის, საიდანაც ამ უკანასკნელს შეუტყვია საფრანგეთის მეფის მიერ ს.-ს ორბელიანის „კარგი მიღების შესახებ“⁵².

საპასუხო წერილში პიერ დ'არნუ რიშარს სწერდა: „... მე დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როცა გავიგე ხსენებული ბატონის - სულხან-საბას კარგი მიღებისა და მეფის ამ ბრძანების შესახებ, რომელიც გულისხმობდა რომამდე მის გამგზავრებას სამეფო „ხარჯზე“. ყოველივე ეს საფუძველს აძლევს პიერ დ'არნუს იმედი ჰქონდეს, რომ სულხან-საბას საქმეები წარმატებით დასრულდება“⁵³.

ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ვახტანგის წერილი ვერსალში უთარგმნიათ 1714 წლის 7 აპრილს, ხოლო ჟან რიშარი იმავე წლის 14 აპრილს უგზავნის წერილს პიერ დ'არნუს და ატყობინებს მას სულხან-საბას გამგზავრებაზე მეფის განკარგულების შესახებ, მაშინ გამოდის შემდეგი: თუ 1714 წლის 7 აპრილს (ვახტანგის წერილის თარგმნის დღეს) არა, ს.-ს ორბელიანის პირველი აუდიენცია ლუი XIV-თან უნდა მომხდარიყო 7-14 აპრილს შორის, უფრო 14 აპრილთან ახლოს, ვინაიდან რიშარმა ამ დღეს წუ

რელი გავუზღავნა პიერ ღ'არნუს და ასევე, სთხოვა თავის მინისტრს ნებართვა დროებით ჩამოშორებოდა სულხან-საბას⁵⁴.

სულხან-საბა ორბელიანმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ზე და საფრანგეთის მინისტრებზე. ეს ამკარად ჩანს განკარგულებაში არსებული საბუთებიდან. აქ გვინდა მხოლოდ ერთ ხაინტყურსო ამბავზე შევჩერდეთ⁵⁵.

სულხან-საბა წარსდგა ლუი XIV-ის წინაშე იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი ავადმყოფობიდან სავსებით განკურნებული არ ყოფილა. თავს ცუდად გრძნობდა და გუნებაზეც არ იყო.

როდესაც სულხან-საბამ მოულოცა საფრანგეთის მეფეს გამოცხადებით, ლუიმ უპასუხა, რომ თუმცა იგი გადაურჩა ერთ მტერს - ავადმყოფობას, მაგრამ მას დაცვა მეორე მტერი - სიბერე. „ეს აღვილი საქმე არაა, ნი წელს გადასცილდე!“⁵⁶, დაასცვნა მეფემ⁵⁷.

- „ხელშეიწყვ, თქვენი უდიდებულესობა ისე კონტად ატარებს ამ ასაკს, რომ ყველა იხურვებდა ამ ასაკში ფოფანს!“⁵⁸, უპასუხა სულხან-საბამ⁵⁹.

სულხან-საბას ეს პასუხი ძალიან მოსწონებია ლუი XIV-ს. ცხადია, ეს უფრო მაღალი საზოგადოებისათვის შესაფერისი პასუხი იყო, ვიდრე ის, როგორც სხვა შემთხვევაში უთქვამთ ლუისათვის, მაგალითად: „ხელშეიწყვ, ეს ყველას ასაკია!“⁶⁰.

1714 წლის 17 აპრილს რომის წმიდა კონგრეგაციის პრეფექტმა კარდინალმა საკრიპიანტომ წერილი მისწერა ვან რიშარს საქართველოსა და მის მეზობელ მხარეებში კათოლიკური სარწმუნოების ვაერცვლების შესახებ⁶¹. ამ წერილიდან ჩანს, რომ „წმიდა კონგრეგაციამ გამოაგონა განსაკუთრებული სურვილი გაავრცელოს... კათოლიკური სარწმუნოება ქართლში, სამეგრელოსა და სხვა მეზობელ მხარეებში“ და რომ „ამ მიზნით ის ელოდება აქ წმიდა ბასილის ბერის, მამა სულხან-საბას ჩამოსვლას, რომელიც იმყოფება იქ, ხადაც თქვენ ხართ, თქვენთვის ცნობილი საქმეებისათვის“⁶².

საფრანგეთის მეფესთან პირველი აუდიენციის დროს სამეფო კართან ს.-ს. ორბელიანის მოლაპარაკებას შეიძლება საფუძვლად დასდებოდა ვახტანგის წერილი ლუი XIV-ხადმი, ს.-ს. ორბელიანის შემოსხენებული მემორანდუმი, ვან რიშარის სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები და ბოლოს, ს.-ს. ორბელიანისა და რიშარის საუბარი საფრანგეთის მეფესთან და სამეფო კარის წარმომადგენლებთან.

ხოლო ლუი XIV-თან ს.-ს. ორბელიანის მეორე შეხვედრის დროს საფრანგეთის სამეფო კარს უკვე ჰქონდა სხვა მასალაც, კერძოდ: პაპის კლიმენტი XI-ის 1714 წლის 13 აპრილის წერილი, პარიზში პაპის ნუნციოს ხარეკამენდაციო წერილი და, რაც მთავარია, ვრცელი მემორანდუმი, შედგენილი მარსელში სულხან-საბას იქ ყოფნის დროს. ამ მემორანდუმთან ერთად ვერსალში ჰქონდათ საქართველოს მეფეთა გენეალოგია და საქართველოს რუკა⁶³.

მემორანდუმი ხელმოწერილი არ არის, მაგრამ, როგორც საბუთებიდან ირკვევა, მისი შექმნილი უნდა იყოს პიერ ღ'არნუს. „ბატონმა ღ'არნუმ თქვენ

გამოვიგზავნათ მეტად ვრცელი მემორანდუმი ბატონ სულხან-საბას შუახანს.
- წერდა ეან რიშარი თავის მინისტრს 1714 წლის 25 მარტს⁶⁴.

სხვა საბუთებიდან არკვევა, რომ ეს მემორანდუმი პიერ ღ'არნუჟის მიერ
ლიდან უფრო მოგვიანებით გაუგზავნა. „მე შევქელი, იგი (მემორანდუმი,
ი.ტ.) გამოგზავნა 4 თუ 5 დღის წინ...“ წერდა იგი ეან რიშარს 1714 წლის
30 აპრილს⁶⁵.

საქართველოს შესახებ მემორანდუმის შედგენაში პიერ ღ'არნუჟთან ერთად
აქტიური მონაწილეობა მიუღია ს.-ს. ორბელიანს და ასევე, უნდა ვივულის-
ხსოთ, დავით მეგრელსა და ეან რიშარსაც. ამის შესახებ პიერ ღ'არნუჟი აღნიშ-
ნავს: მემორანდუმში ანუ პროექტში, „რომელიც მე შევადგინე, ვცნობდი მის
(სულხან-საბას, - ი.ტ.) მიერ მოწოდებულ იდეებს, მასალებს მისი ქვეყნის შე-
სახებ...“⁶⁶, ხოლო ს.-ს. ორბელიანი ერთ-ერთ წერილში ვრავ ლე პონშარტრეს
წერს: „ბატონი ითანდან⁶⁷ დიდებული მარცილიას⁶⁸ რომ არას... საქართველოს
საქმეები მუსუ რიშარით დავვაწერინა და გაახლოეთ“⁶⁹.

ამდენად, უნდა ვივულისხსოთ, რომ ამ მემორანდუმში გატარებულია სულ-
ხან-საბა ორბელიანის და მამასადაძე, იმ ქართველი პოლიტიკოსების აზრი,
რომლებიც „კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მო-
მავალს უკავშირებდნენ“⁷⁰. იმათი აზრი, ვინც „მზად იყო პაპის უხუ-
ნავსობა ელიარებინა, ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დემონსტრაციასა
და მიუღ საქართველოში კათოლიკობა გაეგრძელებინა, ოღონდ საფრანგეთ-
რომის პოლიტიკური დახმარება მიეღო ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა-
ში“⁷¹, ვინც „მსგავსად ვახტანგისა, ემებლა, ყაყის ზურგს უკან ევროპისთან
დაკავშირების საშუალებას, მასთან დაახლოებას“⁷².

გარდა ზემოხსენებული მასალებისა, საქართველოს შესახებ მემორანდუმს
შედგენის დროს პიერ ღ'არნუჟს გამოუყენებია ის სამახსოვრო ბარათი, რომე-
ლიც ეან რიშარისათვის ისეაპანში გადაუცია ერთ-ერთ ფრანგს⁷³.

იმის გამო, რომ ზემოხსენებულ მემორანდუმში დასმულია არაერთი საკო-
თხი, რომელიც შეეხება საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობას, ჩვენ გადა-
ვწყვიტეთ, უფრო ფართოდ შევჩუქრეთ მასზე. მით უფრო, რომ ეს დოკუმენტი
უკანასკნელ დრომდე არ გამოქვეყნებულა.

თვით ამ მემორანდუმის სათაური მოუთითებს იმ საკითხების მრავალფერ-
ოვნებაზე, რომელთა გარშემო მოლაპარაკება ჰქონია ს.-ს. ორბელიანს საფ-
რანგეთში. ამ დოკუმენტის სრული სათაურია: „მემორანდუმი შესახებ იმისა,
თუ რისი გაკეთება შეიძლება რომის კათოლიკური ხარწმუნოების გასაგრე-
ვლებლად და სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად საქართველოში და იმ
ხალხებთან, რომლებიც მათ მეზობლად არიან; აგრეთვე მეფის ძალაუფლებისა
და საფრანგეთის ვაჭრობის გაძლიერებისათვის ღვეანტსა და აღმოსავლეთში,
კერძოდ თურქებთან და სპარსელებთან“⁷⁴.

პიერ ღ'არნუჟს აზრით, ს.-ს. ორბელიანის წინადადებებსა და მოსაზრებებს,
ასევე განზრახვებს, ჩამოყალიბებულს ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, უწ-
და „დათმობოდა ადგილი ერთ-ერთ უდიდეს პროექტში, რომელიც შეიძლება

„სულიერული იმპერია“ ვითარებაში, რათა გაერკვლებულიყო რომის კათო-
ლიკური სარწმუნოება; მეცა სრულიად ახალი გასაქანი მეუის დიდებისათვის,
მისი ძალღიანისა და ბუნებრივი მიხწრაფების მიხედვით დახმარებადა ვაჭრობა,
ბაში ჩავარდნილ მთავრებს; გაემდიერებინა მის ქვეშევრდომთა ვაჭრობა, შეე-
ზღუნა პოლანდიელების ვაჭრობა და ამით შეესუსტებინა მისი ძლიერება, გაე-
წია მათთვის კონკურენცია ინდოეთში, საიდანაც მათ გამოაქვთ მთელი სიმ-
დიდრე, მორჩილებაში ჰყოლიდა პორტუგალიელები; აეძულებინა ინგლისელები
— შიში და პატივისცემა ჰქონოდათ ჩვენადმი და ასევე ჰყოლიდა თურქები და
სპარსელები ერთგვარ დამოკიდებულ მღვთმარებაში“⁷⁵.

ყოველივე ამის განხორციელება შემორანდუმის შემდგენელთა შეხედვებლად
მიაჩნდათ ისეთი „თითქოს საკმაოდ უბრალო და მეტად ბუნებრივი საშუალებე-
ბით, რომელიც ნაწილობრივ თავისთავად მიღის და არ მოითხოვს არაფერს
ისეთს, რაც არ იქნებოდა მეუის ყურადღების ღირსი და მის ძლიერებაზე გაცა-
ლებით დაბლა მღვთმი“⁷⁶.

გარდა ამისა, „ნაყოფი, რომელსაც შეიძლება აქედან ველოდეთ, თითქოს
უკვე ნაწილობრივ მომწიფებულა და მზადაა მოსაჯრეფად, როგორც სარწმუ-
ნოების, ასევე ვაჭრობის მხრივ ისინი, რომლებიც შესძლებდნენ შემდგომში ამ-
გვარი პროექტის ჩამოყალიბებას მისი დამუშავების შედეგად, გახლებდნენ უფ-
რო დარწმუნებულნი ამ საქმეში და უხენი“⁷⁷.

მაგრამ, უპირველესად ყოვლისა, აუცილებელი იყო ამ პროექტის მთავარი
არხის საიდუმლოდ შენახვა... „რათა არ გამოიწვიოს ეჭვი და ყურადღება იმ სა-
ხელმწიფოების მხრიდან, რომლებიც მან შეიძლება დაინტერესოს შემდგომში“⁷⁸.

პიერ ღ'არნუმ, აღბაით უან რიშარის საშუალებით, იცოდა, რომ სულხან-
საბა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოში და კერძოდ, ქარ-
თლის მეფე ვანტანგთან. შემორანდუმში ვკითხულობთ: „სულხან-საბას, რო-
გორც ჩანს, გავლენა აქვს საქართველოში ხალხსა და სამეფო ოჯახზე; ასევე
ჩანს, რომ გულთით მეტად ვანწყობილია რომის კათოლიკური სარწმუნოებისა-
დმი ამ იმედით, რათა მასში გააერთიანოს თავისი ქვეყნის ყველა ხალხი, რომ-
ლებიც სქისმატიკები არიან“⁷⁹.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხში ვანტანგისა და
სულხან-საბას აზრს, როგორც ჩანს, იზიარებდნენ დასავლეთ საქართველოშიც.
ს.ს. ორბელიანმა და უან რიშარმა ზომ ორმოცი დღე დაჰყვეს დასავლეთ სა-
ქართველოში ევროპაში გამგზავრებამდე⁸⁰. ამ დროს სულხან-საბა გაეცნო აქა-
ური პოლიტიკური წრეების აზრს და ამასთანავე გაეცნო მათ თავისი და ვან-
ტანგ მეუის აზრიც. სწორედ აზრთა ერთიანობის შედეგი იყო, რომ დასავლეთ
საქართველოს კათალიკოსმა გრიგოლმა სულხან-საბას ევროპაში თან გააყოლა
თავისი თანამეწეე — ზემოსსენებელი ბერი დავითი. „სამეგრელოს პატრიარქი,
საქართველოს უფლისწულ.

თავროზი, 1809 წლის 30 მარტი.

თარგმნილია ქვემოხელისმომწერის მიერ.

ხსენებული საგარეო საქმეთა სახელმწიფო საბჭო.

პარიზი, 1809 წლის 25 ივნისი.

ამედ. ჟობერი⁵.

ამ წერილის სპარსული ტექსტი იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო-საქართველოს
თის ურთიერთობის ისტორიიდან /XVII ს. მიწურული - XIX ს. დამსწრის/
თბილისი, 1974, გვ. 48.

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

¹ ივლისისმება იმპერატორი ნაპოლეონ I.

² ივლისისმება თეიმურაზ ბატონიშვილი.

³ სიტყვა „ტყვე“ არ არის თეიმურაზ ბატონიშვილის ქართულ ქაზე მისივე ხელით დაწერილ
წერილში.

⁴ აქ წერილის მთარგმნელს შეცდომა აქვს დაშვებული: თეიმურაზი „სერაქლიუს ხანის“ (ერეკლე
II-ის) შვილი კი არ იყო, არამედ გიორგი XII-ისა, ვაი ერეკლე II-ის შვილიშვილი. შესაძლებელია
მთარგმნელმა შეცდომით „შვილიშვილის“ ნაცვლად „შვილი“ დაწერა. ეს დასაშვებია. მაგრამ, იქნებ
მას, რამდენადაც ერეკლე ერეკლეს უფრო ცნობილი იყო, მისი სახელის დაკავშირება უნდა იყო-
მურაზთან. ა. ფაბერი კაცად იცნობდა თეიმურაზს.

თეიმურაზ ბატონიშვილი კი მისივე ხელით ქართულ ქაზე შედგენილ წერილში გარკვეულ
წერს: „საქართველოს მეფის ვიარაგის მუათემეტის ძე თეიმურაზი“.

⁵ ეს ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული ამავე ფაბერია, რომელმაც იცოდა ქართული.

Archives. Paris. "Perse", LXI, ff. 221v^o - 222v^o.

№ 2

Lettre du Prince de Géorgie l'Empereur,
demandant sa réhabilitation.

30 mars 1809

30 mars 1809

136.

Traduction d'une lettre écrite par le Prince de Géorgie

Sa Majesté l'Empereur et Roi.

Sire.

Votre Majesté Impériale et Royale est informée qu'après avoir versé
notre sang pour la défense de la Géorgie, et avoir été pendant plusieurs
années maître de cette importante province, nous en avons été
injustement dépouillée.

Mes frères mes amis ont été conduits captifs en Russie sans espoir de
revoir jamais leur fertile patrie. Pour moi je me suis réfugié sur le territoire
persan, et sachant que Votre Majesté est la protectrice des Princes qui
recourent elle, j'ai été me mettre sous l'ombre de sa protection et
implorer son assistance. Je la supplie Votre Majesté (distributrice des
couronnes) de daigner intervenir pour me faire rentrer dans mes anciens
domaines Je reconnaitrai cette éminente faveur en considérant mes états

comme appartenant l'Empereur Napoléon, et en consacrant mes jours et ceux de mes enfants vous servir.

Je dois en outre faire connaître Votre Majesté que si elle veut m'en donner l'ordre, je suis très disposé me rendre aux pieds de son Trône et lui offrir l'hommage de mon humble respect. Je la supplie de daigner me faire connaître ses volontés suprêmes.

Signé: Tahmuraz Mirza fils d'Heraclius khan
Prince de Géorgie.

Tauris, le 30 mars 1809.

Traduit par le soussigné.

Audit. au Conseil d'Etat Et.

Paris, le 25 juillet 1809.

P. Amed. Jaubert¹.

¹ Archives, Paris, "Perse", t. Xi. ff. 221v - 222v.

ამ წერილის სპარსული ტექსტი იხ. ი. ტაბაღვა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მიწურული - XIX ს. დასაწყისი), თბილისი, 1974, გვ. 48.

№3

უმცირესი მონის — საქართველოს ვალის ძის
აღექსანდრეს¹ მოხსენება

ვგვიბტის მბრძანებელთა მეპყვიდრის, აღექსანდრიის მელობელის, ზეცის დამამშვენებელი ქვეყნების მფარველი ხელმწიფის, გამარჯვებათა მძიბეული დიდებული და მძლეთამძლე, საწუთროს, განგების დამმორჩილებელი, სამყაროს ვარსკვლავთა ამაღიანი სულთანთა სულთნის, ღვთის ჩრდილიანი ქვეყნიერების მფარველი მაღალადგილოვანი შაჰინ-შაჰის ანუ დიდი იმპერატორის ტახტის საფეხურთან მდგომთ მოვასხენებ, რომ ამას წინათ, ირანის არეულობისა და შუიითის შედეგად ამ უმცროსი მონის ძმამ² ... დიდი რუსეთის სახელმწიფოს სთხოვა დახმარება იმ იმედით, რომ იმ სახელმწიფოს მესვეურნი საწუთროს სიმწარეს სიტკბოდ შეუცვლიდნენ. გაჭირვებაში დაეხმარებოდნენ და იმ სახელმწიფოს დიდებულების შეწვევითა და ხელშეწყობით საქართველოსა და ბაგრატიონთა დინასტიას წინანდელზე მეტი შვება და კეთილდღეობა ექნებოდა.

როდესაც იმ ქვეყნის მოხელეებს ვხა გაეხსნათ საქართველოს საქმეების ხელში ჩასაგდებად, ელისა და რაიათის³ უმთავრესი საქმეების სადავეები მოზიდეს, თანდათან ვველაფერს დაუფლუნენ. [შემდეგ აღექსანდრე აღწერს თავის საგვარეულოს წევრთა მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ზოგი მათგანი პეტერბურგში გაგზავნეს].

კრიკლონის მივივით არის ასხმული დიდი იმპერატორის სამართლიანი მოწყალე მბრძანებლობის ზინარზე, არა სამს, რომ ამ უძვირესი მონის გავრე-
ულობა და 1500 წლიანი სახელმწიფო, რომელსაც არავითარი ბრალი ვერ
ნაშაული არ მიუძღვის, დაიღუპოს, რადგან სამართლიანი და ყველა დამსჯე-
ლისა და სუსტის შემწე და დამხმარე ხართ, გთხოვთ, რომ გამოსცეთ ბრძანე-
ბა ერთგული სახელმწიფოს მიმართ, რათა ეს ჩამქრალი კერა დიდი იმპერა-
ტორის წყალობით კვლავ ავიზიზღეს, თქვენი ვარსკვლავისებური თვალების
მოწყალე მხერა ამ ერთგულებს მიეყრას და ჩვენს სამკვიდროს დაგვასახლოთ
და დაგვაფუძნოთ.

შორეული ქვეყნის სულეიმანი, გვიჭირს, გვიჭირს, თუ მოწყალებას იღებ,
ღრო არის, ღრო!¹⁰

1 ალექსანდრე იყო ურცლეუ II-ის შვილი.

2 იგულისხმება მეფე გიორგი XII, ურცლეუ II-ის შვილი.

3 ელი - მომთაბარე ტომი სპარსეთში, რათათი - გლეხობა

4 იგულისხმება თეიმურაზ და ლევან ბატონიშვილები.

5 იგულისხმება თეიმურ ალექსანდრე ბატონიშვილი.

6 იგულისხმება: ხელმწიფენი.

7 იგულისხმება: იმპერატორის.

8 იგულისხმება: ნაპოლეონი.

9 იგულისხმება გენერალი ვარდანი, რომელიც სპეციალური მისიით გაგზავნა ნაპოლეონმა ირანში

1807 წელს.

¹⁰ უფლისწულ ალექსანდრეს ამ წერილის თარღი არა აქვს დასმული. მაგრამ, ვერ ერთი, თეიმურაზი წერილის ტექსტიდან ჩანს, რომ მის აქტორს ის გაუტანება გენერალი ვარდანისათვის, რომელიც 1809 წლის ზაფხულში დაბრუნდა ირანიდან საფრანგეთში; ხელი მკარგ ალექსანდრე ბატონიშვილის საარსულად დაწერილი წერილის წინა გვერდზე ფრანგულად მიწერილია: „საქართველოს უფლისწულის ალექსანდრეს წერილი იმპერატორს. იგი აბარებს თავის პედს მის უძლიერეს მთავრად“. 1809 წლის 1 ოქტომბერი". იხ. Archives. Paris. "Perse", t. XII, 1809, f. 232.

სპარსული ტექსტი იხ. ი. ტაბაღა, დასახ. ნაშრომი, გვ. 54-56.

№4

1810 წლის 24 ივნისი.

გრაფი კამენტცტისაღმი¹ უფლისწულ ბაგრატიონის² მიერ
მიწერილი წერილის თარგმანი

ბატონო გრაფო,

ამ წერილის მიმტანი, მათორ იპარის შვილი, იმყოფება საფრანგეთის სამსახურში. მას სურს დარჩეს ჩვენთან და მიიღოს ჩვენი სამსახური. ამ მიზნით ის მოითხოვს რეკომენდაციას გაუწვიო მას თქვენი აღმატებულების წინაშე, და მპირდება თქვენ გადმოგცეთ ნაპოლეონის ყველა კორესპონდენცია ხანთან ანუ სპარსეთის შაჰთან, რომელიც მეტად საინტერესო უნდა იყოს.

[ვიმელოვნებ] თქვენ ისურვებთ, სამაგიეროდ მას აღმოუჩინოთ თქვენი ძვე-
ერი მფარველობა.

მაქვს პატივი და ა.შ.

ხელმოწერილია: უფლისწული ბაგრატონი.

პოსტსკრიპტუმი, აქ არაფერია ახალი, რაც თქვენი აღმატებულებისათვის
გადასაცემად იმსახურებდეს ყურადღებას. ღმერთი მფარველობდეს თქვენს ძა-
ლებს, რათა ისინი იფინენ ბედნიერი. ეს არის სურვილი თქვენი ძველი მეგობ-
რისა.

ვენა, 1810 წლის 12/24 ივნისი.

თარგმნილია ჩვენს მიერ, მისი უდიდებულესობის კონსული
ბუქარესტში.

ღეღუ.

მე ვადასტურებ, რომ მისმა აღმატებულებამ სპარსეთის ელჩმა ოსკარ-ხან-
მა ვენაში, საფრანგეთის ელჩის სასტუმროში დატოვა სამი ჩეკი.

ვენა, 1810 25 ივნისი, დე ლა ბლანში...³

¹ გვარის ბოლო ნაწილი გაურკვეველია, ვერ იკითხება.

² ჩვენ ვერ დავადგინეთ, თუ რომელი ბაგრატონია ეს პირი.

³ ეს ადგილი ვერ ამოვიკითხეთ.

Archives "Paris". "Perse", t. XIII, ff.259-259v°

N° 5.

24 juin 1810¹.

156

Traduction d'une lettre² écrite par
le prince de Bagration au Comte
Kamentzthé

Monsieur le Comte,

Le porteur de cette lettre, fils du major Yhari, se trouve au service de
France; il desire rester avec nous et precede le notre. Il me prie cet effet
de le recommander Votre Excellence et me promet de vous remettre
toute la correspondance de napoléon avec le Han ou le Chah de perse,
qui parait être très interessante.

Vous voudrez bien, en revanche lui accorder votre puissante protecti-
on.

J'ai l'honneur etc.

Signé P. Bagration.

P. S. Il n'y a rien de nouveau ici qui mérite d'être transmise
Excellence. Que Dieu protège vos arme, afin qu'elles soyant heureux.
C'est le voeu de votre ancien ami.
Vienne le 12/24 juin 1810.

Votre
34105000
0047410000

Traduit par nous. Consul de
Sa Majesté Bucharest
Ledout...

Je certifie que Son Excellence Oskar-Khan Ambassadeur de Perse a
laissé Vienne trois foutgons l'hotel de l'Ambassadeur de France.

Vienne le 25 juin 1810.
de la Blanche...

¹ შიწკრიგლია ხზვა ხელათ.

² Archives. Paris. "Perse", t. XIII, 1810, f. 259-259v.

N^o 6.

20 Octobre 1810¹

204.

Traduction d'une lettre adressée Sa Majesté l'Impereur des
Français Roi d'Italie par le Roi de Géorgie.

Sire,

Comme le soleil en apparaissant sur l'horison éclaire et échauffe la terre, de même Votre Majesté en montant sur la Trône a commandé le respect et l'admiration. Les rayons de sa bienveillance dut allumé le feu de l'espoir dans le coeur des Nations les plus éloignées; Elles ont vu dans Votre Majesté un appui dans leurs nécessités, et un soutien dans leurs malheurs. Mon coeur a été pénétré des mêmes sentiments; Et l'avènement de Votre Majesté au Trône Impériale de France, je me suis empressé de Lui adresser mes hommages et mes voeux, et de réclamer Sa Haute et puissante protection. Mais je suis encore dans la cruelle incertitude si cet hommage lui est parvenu, si mes lettres ont été mises aux pieds de son Trône.

Sire, la Providence Vous a mis sur la terre pour soulager, secourir, et protéger l'humanité; les peuples les plus éloignés ont le même droit que ceux qui ont le bonheur d'être Vos voisins, d'éprouver les effets de Votre grandeur et de Votre puissance.

Ma famille règne depuis douze cents ans sur les peuples que je commande et mon Royaume s'étendait naguère jusque sur les bords de la

Mer Noire. J'en jouirais encore paisiblement, si l'avidité de la Russie, de cette Puissance barbare, ne lui eût fait concevoir le projet de troubler ma tranquillité, et de susciter des guerres étrangères pour s'emparer plus facilement de mes Etats, et attenter même mon existence. Ces guerres font répandre beaucoup de sang; mais nous les soutiendrons plutôt que de nous soumettre la Russie. Si je n'ai pas l'espoir de vaincre et d'abattre mon ennemi, ce ne sera pas en vain que j'aurai compté sur l'assistance du plus puissant des monarques qui est porte par sa justice et par sa grandeur d'âme relever les faibles et secours les opprimés.

C'est entre les mains de Votre Majesté que je remets mon sort, c'est des sa magnanimité que je réclame la protection, l'aide et l'assistance dont il convient sa grandeur et sa gloire de me faire éprouver les effets. Tout a secondé Vos entreprises. Sire, et nul obstacle n'arrêtera jamais la marche de Vos opérations. C'est de Dieu même que Vous avez reçu le pouvoir que Vous exercez, et l'univers étonné admire l'énergie de Votre caractère. Si Votre appuy me manque je serai la victime de l'ambition de la Russe. Les moyens ne manqueront pas Votre Majesté pour me delivrer de son joug. Je me prêterai tout ce que Votre Majesté exigera de son joug. Je me prêterai tout ce que Votre Majesté exigera de moi et je suivrai ses ordres avec le plus parfait dévouement.

J'ose espérer que Votre Majesté daignera prendre ma demande en considération, et ne rejettera pas les veoux d'un peuple qui se met sous l'égide de Votre bras puissant, et n'attend le maintien de son existence et de sa liberté que de Votre Majesté qui seul peut le soustraire la yannie de son oppresseur.

Je supplie Votre Majesté de m'honorer d'une réponse et de me consoler en daignant agréer mes voeux et réaliser mes espérances.

De Votre Majesté

Ahiska, le 20 Octobre 1810.

Solomon Roi de Géorgie²

¹ მიწერილი სხვა ხელით.

² Archives, Paris, "Perse", t. XIII, ff. 320-321.

მისი უდიდებულესობის ფრანგთა იმპერატორისა და იტალიის მეფისადმი¹ საქართველოს მეფის² მიერ გაგზავნილი წერილის თარგმანი

ხელმწიფევ.

როგორც მზე ჰორიზონტზე გამოჩენისთანავე ანათებს და აბობებს დედამიწას, ასევე თქვენმა უდიდებულესობამ ტახტზე ასვლისთანავე გამოიწვია პატივისცემა და აღტაცება. მისმა კეთილმოსურნეობის სხივებმა აანთო იმედის ცეცხლი ყველაზე უფრო შორეული ერების გულშიც კი. მათ დაინახეს თქვენს უდიდებულესობაში თავიანთი გაჭირვების დასაფრენი და შეშწე თავიანთ უბედურებაში. ჩემი გული აღიჭურვება იგივე გრძნობებით და საფრანგეთის საიმპერიო ტახტზე თქვენი უდიდებულესობის ასვლისთანავე ვისწრაფე მისთვის მიმემართა ჩემი პატივითა და კეთილსურვილებით და დაბეჯითებით მეთხოვა მისი უმაღლესი და უძლიერესი მფარველობა. მაგრამ, ვარ კვლავ მწარე გაურკვეველობაში, მიაღწია თუ არა ჩემსს პატივმა თქვენამდე და ჩემსა წერილებმა მის ტახტამდე.

ხელმწიფევ, განგებამ მოგავლინათ თქვენ ამ ქვეყნად, რათა გაუადვილოთ, დაეხმაროთ და მფარველობა გაუწიოთ კაცობრიობას. ყველაზე უფრო შორეულ ხალხებს იგივე უფლება აქვთ, რაც მათ, რომლებსაც აქვთ ბედნიერება იფენენ თქვენი მეზობლები, იგრძნონ თქვენი სიდიადისა და თქვენი ძლიერების ზემოქმედება.

ჩემი ოჯახი 1200 წელია მეფობს ხალხებზე, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობ, ჩემი სამეფო უწინ გადაჭიმული იყო შავ ზღვამდე. მე ვერ კიდევ შემძლო აქ მშვიდობიანად საიმოვნება, რუსეთის, ამ ბარბაროსული³ სახელმწიფოს, სისარბეს რომ მასში არ გაეღვიძებინა პროექტი ჩემი სიმშვიდის დარღვევისა და გამოეწვია უცხო ომები, რათა უფრო იოლად დაუფლებოდა ჩემს სამეფლობელოებს, დამუქრებოდა ჩემს არსებობასაც კი. ეს ომები დიდ სისხლისღვრას მოითხრვენ, მაგრამ ჩვენ უმაღ ამ სისხლისღვრას ვარჩევთ, ვიდრე დავემოწინაოთ რუსეთს⁴. მე რომ იმედი არ მქონდეს გაიმარჯვო და დავამარცხო ჩემი მტერი⁵, ამაოდ არ დავამყარებდი იმედს ყველაზე მონარქისაგან, რომელსაც ანახიათებს თავისი მართლმსაჯულობით და სულის სიძლიერით სუსტის წამოყენება და დაჩაგრულისადმი დახმარება.

თქვენს უდიდებულესობას ვანლობ ჩემს ბედს. მის სიდიადეს ვთხოვ მისივე შესაყერის მფარველობას, დახმარებას და მხარდაჭერას. ყველაფერმა ხელი შეუწყო თქვენს წამოწყებებს, ხელმწიფევ, და ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ

შეაჩერებს თქვენს წინსვლას. თვითონ ღმერთისაგან გაქვთ მომადლებული მსოფლად და უფლება, რომელსაც თქვენ ახორციელებთ და გაკვირვებულ მსოფლიონ ტაცებაში მოკვავს თქვენი ხასიათის სიძლიერეს. თუ თქვენი მხარედებუნა-მაკლდება, შე შევიწხები მსხვერპლი რუსეთის ამბიციისა, საშუალებები არ დააკლდება თქვენს უდიდებულესობას, რათა დამიხსნას მისი უფლისაგან. გავაკეთებ ყველაფერს, რასაც თქვენი უდიდებულესობა მოითხოვს ჩემგან და შევასრულებ მის ბრძანებებს უერთგულესად.

ვებრავ ვიმედოვნო, რომ თქვენი უდიდებულესობა მიიღებს მხედველობაში ჩემს თხოვნას, არ უკუაგდებს სურვილებს ჩაღბისა, რომელსაც სურს თქვენი მძლავრი მკლავის მფარველობის ქვეშ ყოფნა, ელოდება შეინარჩუნოს თავისი არსებობა და თავისუფლება, მხოლოდ თქვენი უდიდებულესობის წყალობით დააღწიოს თავი მწაგვრელ ტირანიას.

შე ვევედრები თქვენს უდიდებულესობას პატივი დამდოს და პასუხით მარუგეშოს, რომ მან ჩემი თხოვნა შეიწყნარა და ჩემი იმელები განხორციელდება.

თქვენი უდიდებულესობისა,
სოლომონი მეფე საქართველოსი⁶.

აპისკა⁷, 1810 წლის 20 თქტომბერი.

¹ იგულისხმება ნაპოლეონ I.

² იგულისხმება იმერეთის მეფე სოლომონ II.

³ სიტყვა „პარპაროსული“ არ არის სოლომონის მიერ ქართულად შედგენილ წერილში.

⁴ „ჩვენ უნდა ამ სისხლისღვრას ვარჩევთ, ვიდრე დავებრძინოთ რუსეთს“. არ არის სოლომონის წერილში.

⁵ არც ეს წინადადებაა სოლომონის წერილში.

⁶ სოლომონის მიერ ქართულად შედგენილ წერილში კი წერია: „მეფე სოლომონი იმერეთისა“.

⁷ ანაღვიზის სახელწოდების თურქული ვარიანტი.
Archives. Paris. "Perse", t.XIII, t.XIII, ff.320-321.

№8

1811 წლის 6 იანვარი¹.

№22²

მისი უდიდებულესობა იმპერატორისადმი³ მეფე სოლომონის მიერ ქართულ ენაზე გაგზავნილი წერილის თურქული ვერსიის თარგმანი, რომელსაც აქვს ხელისმოსწერა: იმერეთის მეფე.

მიმართვა,⁴

მისი საიმპერატორო უდიდებულესობას, უმაღლესობას, უდიდესს, უძლიერეს მონარქს, დიდი რომის იმპერატორს, ფრანგთა კეისარს, ნაპოლეონს, მთელი დასავლეთის დიდ მბრძანებელს — უგულმოსწყალებს იმპერატორს.

უავგუსტოესო, უგულმოსწყალებსო იმპერატორო, ღმერთის შემდეგ მეფეთა-მეფეო.

მას შემდეგ, რაც რუსუბლიკის ერთსულეობაში სურვილია მოვიწოდოთ
თქვენ საფრანგეთის საიმპერატორო კეთილშობილური გვირგვინისაკენ. ჩვენ
ვინაშა ვარმოვადგენით თქვენ რამდენიმე უმორჩილესი თხოვნა.

ჩვენ ამ თხოვნაში ვარმოვადგენით თქვენს უდიდებულესობას, ქრისტიანობის უმაღლეს მეთაურს, რომ მოსკოვის იმპერატორმა ჩვენ უსამარ-
თლოდ და უკანონოდ ჩამოგვართვა ჩვენი სამეფო ხელისუფლება; რომ ამ იმპე-
რატორს არ ჰქონდა ამისათვის არავითარი უფლება, რომ რაც შეეკვებება ჩვენ,
არ ვაგვანდა რა არც ძალა წინააღმდეგობის გასაწვეად იარაღით ხელში ჩვენი
სამეფოებელოების დამყრობისადმი, არც საშუალებები კანონიერად დაგვებრუ-
ნებინა ისინი უზურპატორისაგან, ეს ორმაგი უძლეურობა საქმარისა ჩვენი
უმოქმედობის გასამართლებლად; და, რომ მხოლოდ საჭიროა თქვენს საიმპე-
რატორო უდიდებულესობამ იცოდეს უფლების ჩამართმევის იმ შეუბრალებელი
აქტის შესახებ, რაც ჩაიდინა ჩვენს მიმართ მოსკოვის შემოსხრებულმა იმპე-
რატორმა, რამდენადაც ღვთის წყალობით თქვენს საიმპერატორო უდიდებულე-
სობამ ბუნებრივად და საკაცობრიო კანონების თანახმად გააერთიანა თავის
ხელში მიწის ყველა მპრძანებელთა ხელისუფლება, ძალა და ავტორიტეტი,
შემქმნელმა ღვთაებამ მხოლოდ იმისათვის მოგავლინათ ქვეყანაზე და აღკვერ-
ვათ ყველა სიკეთით, რომ დაამყროთ წესრიგი ძლიერებითა და სამართლიანო-
ბით, ამიტომაც თქვენ ბრძანდებით უმაღლესი გამრიგებელი ყველა მპრძანებლი-
სა. შესაძლებელია ჩვენი მიმართვა თქვენი კანონიერი ხელისუფლებისადმი არ
იქნას დაშვებული და მიღებული? ვინაიდან, ვიდრე ჩვენ ყველა ვართ მზის
ქვეშ მპრძანებულნი — ვალიარებთ მხოლოდ თქვენს საიმპერატორო უდიდებუ-
ლესობას, იგი მოაწესრიგებს ჩვენ სასურველ მოთხოვნებს და მუარველობას
გაუწვევს სუსტს ძლიერის წინააღმდეგ.

სწორედ ამასთან დაკავშირებითაა, ჩემო უავეუსტიესო, უძლიერესო იმპე-
რატორო და შეუდარებელი მპრძანებელი, მე უმორჩილესად ვქმნობი თქვენი
საიმპერატორო უდიდებულესობის წინაშე, ღე, ღლითიღლე, საათობით იზრდებო-
დღეს მისი ღიღება და ბუღნიერება! რათა მან მიუმატოს თავის ღიღებულ ტი-
ტულებს აზიის იმპერატორის ტიტული! მაგრამ, ღე, მან ინებოს განმთავი-
სუფლოს მილიონ ქრისტიან სულთან ერთად მოსკოვის იმპერატორის შეუბრა-
ლებელი უღლისაგან; ან მისი მალალი შეამავლობით, ან მისი ფოვლისშემძლე
მარჯვენის ძალით და მან მომთავსოს მუარველობაში მისი მეთაურობით არსე-
ბულ ჩრდილქვეშ!

მიიღეთ ჩემი დადასტურება ჩემი მუღმივი ლოცვისა და ღრმა პატივისცე-
მისა, რომლითაც მე ვიმყოფები.

უმაწყაღესო, მეტად უხვო იმპერატორო,
თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის
საბრალო მსახური.

იმერეთის და მისი მზარეთა მეფე,
დაწერილია 1811 წლის 6 იანვარს.

ბეჭდის ღეგნდა: იმერეთის მეფე სოლომონი.

თარგმნილია თურქული ვერსიიდან, ჩემს მიერ ქვემოთხელისმოქმედების სა-
ელნოს მრჩეველი, ოტომანის პორტასთან პერაში, მისი უდიდებულესობის
ფრანგთა იმპერატორის, იტალიისა მეფისა და ა.შ. და ა.შ. ფიცილი საქმედებში
რწმუნებული.

კონსტანტინეპოლი, 1811 წლის 28 ივნისი.

ხელმოწერილია: როუენი³

¹ მიწერილია სხვა ხელით.

² მიწერილია სხვა ხელით.

³ იგულისხმება ნაპოლეონ I.

⁴ ჩვენ არ ვიცით ამ წერილის ფრანგული თარგმანი რამდენად ემთხვევა ხელმოწერის მიერ ქრ-
თულად შედგენილ წერილს. მით უფრო, რომ ეს წერილი ვერ ქართულიდან თურქულად თარგმ-
ხელი შემდეგ - ფრანგულად.

⁵ Archives. Paris. "Perse", t.XIII, ff.287-290.

N. 9.

6 janvier 1811¹

22

Traduction de la version turque d'une dépêche adressée en idiome
géorgien Sa Majesté l'Empereur par le Prince Salomon,
qui se signe Roi d'Imirette.

Suscription.

A Sa Majesté Impériale, le très sublime, très grand, très puissant Mo-
narque l'Empereur de la grande Rome, le César des Français, Napoléon, le
Grand dominateur de tout l'occident _ Empereur très miséricordieux.

Très auguste, très miséricordieux Empereur, après Dieu Roi des Rois.

Depuis que le voeu unanime de la République vous appella la noble
couronne Impériale de France, nous nous empressâmes de vous soumettre
quelques humbles requêtes.

Nous y représentions Votre Majesté, comme au Chef Suprême de la
Chrétienté, que l'Empereur de Moscou nous avoit injustement et contre la
Loi, destitué de notre royauté; que cet Empereur n'y avoit aucune espèce
de droit; que quant nous, n'ayant eu ni la force de nous opposer, les ar-
mes la main, l'envahissement de nos états, ni les moyens de nous les
faire légalement restituer par l'usurpateur, cette double impuissance suffi-
soit pour excuser notre inaction; et qu'il n'appartenoit qu' Votre Majesté
Impériale de connaître de l'acte de spoliation impitoyable commis envers
nous par le susdit Empereur de Moscou; puisque avec le Secours de Dieu.

Votre Majesté Impériale a réuni naturellement et d'après les Loix humaines le pouvoir, la force et l'autorité de tous les Souverains de la terre dans les seules mains, le Divin Créateur Vous ayant uniquement mis au monde pour y établir l'ordre par la puissance et la justice dont il Vous a donné lui même. Vous êtes donc l'ordonnateur Suprême de tous ces Souverains. Seroit-il possible que notre recours votre autorité légitime ne fut pas admis et accueillie? Car tous tant que nous sommes de potentats sous le soleil – nous ne reconnaissons que Votre Majesté Impériale pour l'arbitre universel qui redresse tous les torts, règle les satisfactions exiger et protège le faible contre le fort.

C'est sous ces rapports, men très auguste, très Puissant Empereur et incomparable ordonnateur, que je me prosterne humblement devant Votre Majesté Impériale. Puisse-t-elle de jour en jour, d'heure en heure, croître en dignités et en bonheur! Qu'elle ajoute Ses glorieux titres celui d'Empereur de l'Asie! Mais qu'elle daigne m'affranchir, avec un million d'âmes Chrétiennes du joug de l'impitoyable Empereur de Moscou; soit par Sa haute médiation, soit par la force de son bras tout-puissant et qu'elle me place sous l'ombre tutélaire de sa protection!

Agréez l'hommage de mes prières continuelles et du profond respect avec lequel je suis.

très clément, très généreux Empereur,
de Votre Majesté Impériale
Le pauvre serviteur,
Le Roi d'Imirette et
de ses contrées.

Ecrit le 6 Janvier 1811.

La Légende du Sceau est;
Le Roi d'Imirette Salomon.

Traduit, sur la version Turque, par moi soussigné, Conseiller d'ambassade, Ex-Chargé d'affaires de Sa Majesté l'Empereur des Français, Roi d'Italie, etc., près la Porte Ottomane Pera les Constantinople le 28 Juin 1811.

Signé: Ruffin².

¹ მიწერილი სხვა ხელით.

² Archives. Paris. "Perse", t. XIII, ff. 287-290.



1821 წელს თბილისში გაიხსნა საფრანგეთის სამეფოს საკონსულატი. სულაღ დანიშნა ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833). მას ოფიციალურად ეწოდებოდა საფრანგეთის „მეფის კონსული თბილისში“¹. საფრანგეთიდან წამოსვლამდე გამბამ ვრცელი მოსახერხებელი ბარათი წარუდგინა პარიზში თავის საგარეო საქმეთა მინისტრს ვიკონტ დე მონმორანსის იმის შესახებ, თუ როგორ ჰქონდა მას წარმოდგენილი თავისი მუშაობა საქართველოში, კერძოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებში საფრანგეთის ვაჭრობის გაფართოებასთან დაკავშირებით. გათვალისწინებული იყო საფრანგეთის საქონლის – შაქრის, ფაფის, ღვინოს (ბორდოს და შამპანურის), ღვინის, სამრეწველო საქონლისა და სხვ. გატანა აღმოსავლეთის ქვეყნებში შავი ზღვისა და საქართველოს გავლით².

1821 წლის სექტემბერში კონსული გამბა უკვე პეტერბურგშია, ხოლო 1822 წლის 3 თებერვალს პეტერბურგიდან იგი თავის მინისტრს დე მონმორანსის ატყობინებდა, რომ პეტერბურგში საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლებმა მას ურჩიეს გაეშვაზავროს არა პირდაპირ თბილისში, არამედ – ოლესაში, ხოლო იქიდან გემით – სამეგრელოში. მონახულოს ეს მხარე და შემდეგ ჩავიდეს საქართველოს დედაქალაქ თბილისში³. ეს გაბმას საშუალებას მოსცემდა შეესწავლა სავაჭრო ვაზა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებიდან, სამეგრელოსა და იმერეთის გავლით თბილისამდე. კონსული გამბა ასევე მოიქცა: იგი პეტერბურგიდან ოლესაში ჩავიდა, ოლესიდან გემით გაეშვაზავრა და 1822 წლის 7 ივნისს სოხუმში ჩავიდა.

მომავლისათვის სავაჭრო საქმეების შესწავლის მიზნით კონსული გამბა რვა დღე დარჩა სოხუმში. სოხუმიდან იგი რედუტ-კალეში (დღეს ყულევი) ჩავიდა, სადაც ცუდი ამინდის გამო, იგი 15 დღე დარჩა, ორი კვირის შემდეგ გამბა პარიზს ატყობინებდა: „რედუტ-კალეიდან ვაგეშვაზავრეთ და იმერეთის დედაქალაქ ქუთაისში ჩავდივით. აქ ვერხვალ-გუბერნატორი ადვილზე არ იყო. ამბობენ, რომ 4 თვეა, რაც ქუთაისში არ არისო. ვაღაპვწვიტე დავრწმუნოიფოვი ქუთაისში ერთი თვე და ცხენზე შემჯღარს დამითვალიერებინა ეს „ძველი მიმეფო“. ჩემს მოგზაურობაში მახლდინენ: ქალაქის თავი, ინჟინერი და რამდენიმე ადვილობრივი დიდებული. ვაგეცანიით ამ მხარის ხენჩვეულებებს“.

კონსული გამბა ამ მოგზაურობის დროს ათვალიერებდა გზებს და დანტერესებული იყო სავაჭრო საკითხებით. იგი დაახლოებით სამი კვირა დარჩა ქუთაისში. „სამი კვირის შემდეგ, – წერდა იგი, – თბილისში ჩავედი. აქ ვერხვალ გუბერნატორის ნახვა მინდოდა, რათა მისთვის მომეხსენებინა ჩემი მოსახერხებელი სამეგრელოს მხარის შესახებ; რედუტ-კალესა და თბილისს შორის კომუნიკაციების დადგენის შესახებ“⁴.

1822 წლის 22 აგვისტოს კონსულ გამბა თბილისიდან პირველ ვრცელ წერილს უგზავნის თავის მინისტრს დე მონმორანსის⁵. წერილში ნაქამია, რომ იგი მშვილობიანად ჩავიდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში. სურდა

მასწავლებელი მეფის ნაცვალს ერმოდოვს, მაგრამ იგი ადვილზე არ იყო. ამ წერილში გამბა თავისი მინისტრის ყურადღებას მიაქცევს ამ მხარეში ინტელექტულების აქტიურობას, მათ სავაჭრო რეკონსტრუქციებს; მოუთხოვს ქვეყნის ეკონომიკური-საფინანსოების სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ და რეკონსტრუქციას - ქუთაისი - თბილისის სავაჭრო გზის გაძლიერებაზე. აქვე ნათქვამია, რომ მას ასეთივე შინაარსის წერილი მზადა აქვს ერმოდოვისათვის წარსადგენად. პარიზში გაგზავნილი შექმნილია წერილიდან ვეუბულობით, რომ გამბა პირადად შეხვედრია ერმოდოვს და მოუხსენებია თავისი აზრი საქართველოს გავლით, აღმოსავლეთის ქვეყნებთან საფინანსოების ვაჭრობის გაუმჯობესებაზე⁶.

გამბას აზრით, საფინანსოების საქონლით დატვირთული ვაჭრები იდეალური პირობები რეკონსტრუქციას მიაღებდნენ. აქედან ეს საქონელი სამეგრელოსა და იმერეთის გავლით უნდა ჩაეტანათ თბილისში. ამისათვის, მისი აზრით, საქონლი იყო საქართველოს ტერიტორიაზე გზების სათანადოდ შეკეთება და ხიდების აგება. ფეხლა ეს სამუშაო, წერდა გამბა, „თუ კარგად იმუშავებენ, უნდა დამთავრდეს 1823 წლის შემოღობვისმდე... ფეხლა სავაჭრო საქონელი, დაახლოებით 130-დან 140-მდე საზღვაო ტვირთი, ყოთებში ჩაღებულად, რომელიც საფინანსოებიდან სამეგრელოში ჩავა, რეკონსტრუქციადან ქუთაისზე და შირაქანზე გავლით 12 დღეში თბილისში უნდა ჩავიდეს“.

გამბას აზრით, აღმოსავლეთის ქვეყნებთან საფინანსოების ვაჭრობისათვის საქართველოზე გავლით გზა უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე კონსტანტინოპოლ-არზრუმზე გავლით. საბუთებიდან ჩანს, რომ გამბას ამ ცნობებს დადებითი გამოხმაურება გამოუწვევია საფინანსოების სავაჭრო წრეებში⁷. გამბა თბილისიდან კვლავ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში და ახლა უფრო დეტალურად დაათვალიერა საფინანსოების სავაჭრო საქონლის გასავლელად გათვალისწინებული გზები, ხიდები და პუნქტები.

თბილისში დაბრუნებული გამბა წერდა: „ფინანსები, რომლებიც სამეგრელოში ჩამოვლენ, იქ ადვილად შეძლებენ გადმოტვირთონ საქონელი...“⁸ პარიზში გაგზავნილი წერილის თან ერთიდა საქართველოს რუკა⁹, სადაც წითელი ვარსკვლავებითაა აღნიშნული: სოსუმ-კალეს ციხესიმაგრე, ანაკლის ციხესიმაგრე (მდ. ინგურის შესართავთან), რეკონსტრუქციას ციხესიმაგრე (მდ. ხობისწყლის შესართავთან მარცხენა ნაპირზე), რიონ ვიას ციხესიმაგრე (მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე), ფოთში თურქების ციხესიმაგრე (მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე). ასევე აღნიშნულია პატარა კუნძული მდ. რიონის შესართავთან და ბათუმი.

რუკაზე აღნიშნულია ზუგდიდი (დადიანის რეზიდენცია), თზურგეთი (გურიის რეზიდენცია). ასევე, სონი, ბაღდადი და მდინარეები. იმავე რუკაზე აღნიშნულია რეკონსტრუქციადან თბილისიამდე ადვილები, სადაც სავაჭრო გზას უნდა გაეწვლი (ხორვა, ხანარბელი, აბაშა, მარანი, გუბისწყალი, ქუთაისი, ჩოღაბური, ფორილა, საკორეთი, პავარელი (?), მონთი, სურამი, ავარები, ჭალა, მუხრანი, მცხეთა). ამ პუნქტებს შორის მანძილი ვერსებითაა მითითებული.

გამბას აზრით, თბილისამდე მშვიდობიანად მისული საფრანგეთის საკონსულოში შექმნილი მთავრობის და სპარსეთის ყურადღება, ხოლო იქნებამ საქონელს ვხა გაეხსნებოდა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისაკენ მხრივ, ეს საქონელი მოხვდებოდა მახანდრანში, ვილიანში და მთავრად კასპიის ზღვამდე, ხოლო იქიდან კი მდ. ვოლგით, რუსეთის ჩრდილოეთ ქალაქამდე, ყველა ამ ადგილებისათვის, წერდა, გამბა, სავაჭრო ცენტრი იქნება თბილისში, სადაც განუწყვეტლევ მოვა საფრანგეთის საქონელი რელუტ-კალედან¹⁰.

საფრანგეთიდან საქონელი წამოვიდოდა ვერმანიაზე და სამხრეთ რუსეთზე ვავლით, ხოლო იდეხიდან - პირუდაბირ რელუტ-კალედან. ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთის სპეციალური შეთანხმებები უნდა დავლო ვერმანიასთან და რუსეთთან. ამ საკითხს ეძღვნება გამბას ერთი ვრცელი წერილი¹¹.

რელუტ-კალედან შეიქმნა საბაჟო და კარანტინი, ხოლო თბილისში - საბაჟო. გამბამ მთავრობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებას რელუტ-კალედან ქუთაისში საქონლის ჩატანისა და მისი თბილისში გაგზავნის შესახებ. ამავე გზით საფრანგეთისაკენ უნდა წასულიყო აღმოსავლეთის ქვეყნების საქონელი: ქაშმირის შალეული, შირაზის თამბაქო და სხვ.¹²

1824 წლის 4 თებერვალს პარიზში გაგზავნილ წერილში გამბა ჩამოთვლის სავაჭრო სომადლების რაოდენობას (მათი სახელწოდებისა და ტვირთის აღნიშვნით), რომლებიც 1823 წ. იანვრიდან 1824 წ. იანვრამდე ტრაპიზონიდან, კონსტანტინოპოლიდან, იდეხიდან, სევასტოპოლიდან, ქერსიდან, ტავანროგიდან და სოხუმ-კალედან რელუტ-კალედან ჩავიდნენ¹³. ცნობაში საქონლის რაოდენობა მოცემულია წონისა და ზომის აღნიშვნის ვარეშე, მაგალითად, მარსელიდან რელუტ-კალედან მოვიდა ვეხი: ტონაჟი 120, კეიბაჟი - 12; რა მოაქვს: შაქარი - 80 ათასი, ღვინო - 8 ათასი, მთელი - 6 ათასი, ფურადი ტილო - 12 ათასი, ვალანტურის საყრები - 5 ათასი და სხვ. ყველა ფრანგული წარმოებისაა. მათი საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 140 ათას ფრანკს.

ერთხანს გამბა პარიზში დაბრუნდა. საქართველოში მის მოვალეობას ხელონი ასრულებდა. ამ დროს საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოვიდა ვინმე ბეზუმე, რომელსაც საქართველოში ხე-ტყის მდგომარეობა აინტერესებდა. მან იმოგზაურა იმერეთსა და სამეგრელოში, დაათვალიერა იქური ტყეები.

გამბამ პარიზში სავაჭრო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო კომპანიის შექმნის პროექტი¹⁴. აქ ლაპარაკია სამეგრელოსა და აფხაზეთის ნავსადგურების (რელუტ-კალე, სოხუმ-კალე) გამოყენებაზე სავაჭრო მიზნით. აქვეა „საქართველოში სავაჭრო კომპანიის დაარსების“ უკვე შემუშავებული პროექტი¹⁵.

გარდა თბილისისა საფრანგეთის კონსულები მუშაობდნენ თეირანში, თავრიზში, არზრუმში; ვიცე-კონსულები - ბაქოში, ქუთაისში, რელუტ-კალეში; საკონსულოს აგენტი - ასტრახანში. აქედან ველაზე მნიშვნელოვანი იყო თბილისის საკონსულო, რომელსაც გარდა ვაჭრობისა, სხვა საქმეებიც ვადა

ბილა. მავალითად, მას უნდა ეზრუნა ფრანგული ენის შესწავლისა და გაგრძელების ცენტრის შექმნაზე თბილისში. 1828 წელს თბილისში 64 ფრანგი ცხოვრობდა¹⁶.

1827 წელს რეღუტ-კალეს შესახებ გამბა პარიზს ატყობინებდა: „რეღუტ-კალეს საბაჟო შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 120 ათასი ვერცხლით ანუ 480 ათასი ფრანკით გაიზარდა. თუ ასე გაგრძელდა, იგი დიდ მოგებას მისცემს არა მარტო საფრანგეთს, არამედ რუსეთსაც“¹⁷. აქვე ლაპარაკია რეღუტ-კალეს ნავსადგურის გაფართოებაზე და რეღუტ-კალედან თბილისამდე გზების შეკეთებაზე და ხიდების აგებაზე.

1826 წელს პარიზიდან თბილისის საკონსულოში ჩამოვიდა ახალი თანამშრომელი - ვიქტორ ლეტელიე, ქართული ენის მკვლევ¹⁸. გამბა ითხოვდა თავის მინისტრისაგან, მიეცათ ვ. ლეტელიესათვის ღირსეული ხელფასი „იმ საქმისათვის, რომლითაც იგი ძირითადად დაკავებულია, რათა შეძლოს ქართული ენის ღრმად შესწავლა და კავკასიის სხვა ენების გაცნობა“¹⁹. თბილისის საკონსულოში იყო მეორე ფრენგი - მორენი, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქართველოს ფაუნის შესწავლა და იშვიათი მცენარეების საფრანგეთში გატანა, მას საფუძველი უნდა ჩაეყარა სამხრეთ საფრანგეთში აბრეშუმის განვითარებისათვის²⁰. ამავე საბუთებში ლაპარაკია საქართველოში შაქრის (თბილისში), თამბაქოს (სამეგრელოსა და იმერეთში), აბრეშუმის (თიბის საქართველოში) და ასევე ბამბის, ბრინჯის, შაფრანის ვაშლის, ხაზვის, ჭიაფურის (ხაღებავის) წარმოების გაფართოებაზე²¹.

1833 წელს გამბა კონსულის პოსტზე შეცვალა დე კასტიონმა, ხოლო 1847 წელს ეს უკანასკნელი შეცვალა ლოქსერომ. კონსული ლოქსერი გამბას მსგავსად თბილისში ჩამოვიდა ოდესა, სუსემ-კალე, რეღუტ-კალე, ქუთაისის გავლით²². პარიზში ვაგზავნილ მის წერილებში აღწერილია რეღუტ-კალე, მარანი, ქუთაისი, ვორი, თბილისი, სხვა წერილებში მოხსენიებულია მისი მოგზაურობა აფხაზეთში, კერძოდ, გაგრასა და ბიჭვინთაში²³.

კონსულ ლოქსერი უფრო ვრცლად აღწერს რეღუტ-კალეს, რომელიც მისი სიტყვებით, უცხოეთიდან ამ მხარეში მოსული და თბილისისკენ მიმავალი სავაჭრო საქონლის მთავარი ცენტრია. იგი წერს: „ზოგიერთს უკვირს ამ ადგილის შერჩევის სამართლიანობა. მართლაც რეღუტ-კალეში მისაღვლოში ძნელია, რეიდი ღიაა, ნაპირი დაბალია ისე რომ, პატარა წყალწყვიის გაშებიც კი იბულებულნი არიან ღუზა გაშლილ ზღვაში ჩაუშვან. პლაჟი წყნარი ამინდის დროსაც კი საშიშია. მოსახლეობა ცოტაა. პატარა სახლებია. პატარა ციხე-სიმაგრე“. რეღუტ-კალედან ქუთაისამდე „გზა მიდის მდ. ხობისწყლით, იგი არხით გადაღის მდ. რიონზე, შემდეგ გზა გადის მარანზე და მიდის ქუთაისამდე. ზამთარში აქ წყლის დონე მაღალია, მაგრამ ზაფხულში (ივნის-აგვისტო) - მეტად დაბალია“²⁴.

1862 წლის ცნობებში ნათქვამია, რომ საქართველოში ცხოვრობს 158 ფრანგი²⁵. 1864 წლის დეკემბრიდან საკონსულოს მასალებში უკვე მოხსენიებულია ფოთის საბაჟო²⁶. 1865 წელს საქართველოზე გავლით ვეროპაში ვაი-

ტანეს: ჰამბა, ჰამბის ნელდუელი, შუარი, ხელდუელი, აბრეშუმის ნელდუელი, აბრეშუმის ნაწარმი, თამბაქო, მატყლის ქსოვილი, ნელი და დამუშავებული ლითონი, ჩაი, ხელი, ძუა, ნელი და დამუშავებული ტყეა, ხალხაგებამა, ცვლეული, დაკლული საქონელი და სხვ. სულ 24.470.332 ფრ. დირხების²⁷. ხოლო 1866 წელს 27 მილ. ფრანკის დირხებულების იგივე საქონელი²⁸.

1867 წლის 21 სექტემბრის წერილში კონსული აცხადებდა საქონის ფოთში ვიცე-კონსულის დანიშვნის შესახებ. ვინაიდან პროექტი უკვე შეუდგენია ინგლისის კომისიას. ამასთან დაკავშირებით ინგლისელების აქტიურობა გაზარდა ამ მხარეში²⁹. კონსული მოუთითებდა, რომ ინგლისელები უკვე ამრებდნენ ფოთში ვიცე-კონსულის დანიშვნას.

თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელეთის სახელმწიფოები. ზემოხსენებულ წერილში ნათქვამია, რომ ფოთი-თბილისი-ბაქოს რკინიგზით დაკავშირების შემთხვევაში, ფოთი ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრი განდებოდა და შავი ზღვის სანაპიროზე ფოთიდან დაიწებოდა სავაჭრო გზა³⁰. აქვე კონსული დამატებს, რომ ამიერიდან უნდა დამყარდეს სავაჭრო საზღვაო გზა ფოთსა და მარსელს შორის, რასაც უნდა მოჰყოლიოს საფრანგეთის ვაჭრობის გაფართოება აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვერ ზღვი, ხოლო შემდეგ ხმელეთით - ფოთზე და თბილისზე გავლით³¹.

ამიერიდან რეღუტ-კალე ნელ-ნელა ჰკარგავს მნიშვნელობას, სამევიწიფე იზრდება ფოთის ნავსადგურის იმპორტი და ექსპორტი: მან შეადგინა 1866 წელს 53 169 636 ფრ., 1867 წელს - 48 546 164 ფრ., 1868 წელს - 56.613.724 ფრ. ამ შემთხვევაში პირველი ადგილი ეკავა იმპორტს. იგი იზრდებოდა და ხუთმეტე წლის განმავლობაში მან წელიწადში 2 მილ. ფრანკი შეადგინა³². ექსპორტი შედარებით ცვალებადი იყო: 1866 წელს მან შეადგინა 20,5 მილ.ფრ., 1867 წელს - 14,5 მილ.ფრ., ხოლო 1868 წელს - 20,5 მილ. ფრ.³³.

„თბილისი-ფოთის რკინიგზის გახსნა, - წერდა კონსული, - კიდევ უფრო გაზრდის ვაჭრობას... რუსეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფოთის, როგორც შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგურის გაზრდას. ფოთის ნამდვილად დიდი მომავალი აქვს და ამიტომ აუცილებელია საფრანგეთს აქ ჰყავდეს თავისი ვიცე-კონსული“³⁴.

ამ დროს თავისი მთავრობის დავალებით ფოთში ჩავიდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის კონსული ტრაპიზონში. იგი ფოთში დარჩა რამდენიმე დღე, ტრაპიზონში დაბრუნებისთანავე, ვინაში ვაგზავნილ წერილში იგი თავის მთავრობას ურჩევდა ფოთში საკონსულოს გახსნას. ვინაიდან, წერდა იგი, „ფოთი არის კავკასიის ყველი სპარსეთში ტრანზიტის ერთადერთი პუნქტი ამ რაიონში. ფოთის მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდებოდა“³⁵.

ფრანგებსაც უნდოდათ მიუღლით მონაწილეობა როგორც თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანაში, ისევე ფოთის ნავსადგურის მშენებლობაში. თბილისში ჩამოსულმა ერთ-ერთმა ფრანგმა ინჟინერმა კოტარმა სურველი გამოთქვა თავისთავზე აეღო ფოთის ნავსადგურის მშენებლობის საქმე. თბილისი-ფოთის

რკინიგზის გაყვანა, როგორც თქვა, თბილისის კომპანიამ ითავა. მისი მშენებლობა 1872 წლის მაისში უნდა დაეწყოთ³⁶.

1871 წელს თბილისში გაიხსნა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საკონსულო. ამ დროს თბილისში უკვე არსებობდა საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთისა და სპარსეთის საკონსულოები. გათვალისწინებული იყო იტალიის საკონსულოს გახსნა თბილისში და ვიცე-კონსულების დანიშვნა: საფრანგეთისა ფოთში, ხოლო ინგლისისა - თბილისსა და ფოთში³⁷.

საფრანგეთის კონსული თბილისში ტრამპეზური დიდ ქურაღლებას აქცევდა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეების ექსპლუატაციას. 1869 წელს თბილისიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი აღწერდა საქართველოს მინერალურ რესურსებს. სამკურნალო წყლებს (კერძოდ ცხელ წყლებს), ნავთობს, რკინის მადნეულს, სპილენძს, ვერცხლს, ტყვიას, კობალტს და მიუთითებდა მათ მნიშვნელობაზე³⁸.

იმავე კონსულის 1870 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ 1869 წელს ამიერკავკასიიდან ევროპაში გაიტანეს 19 685 860 ფრ. ღირებულების საქონელი (ბამბა, მატყლი, აბრეშუმის პარკი, ნელლი და დამუშავებული ღვითი, დაკლული გარეული ღორი და სხვ.)³⁹. ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში 1871 წელს შემოვიდა 19.264.796 ფრ. და გავიდა 14.759.372 ფრ. საქონელი. ე.ი. იმპორტმა და ექსპორტმა შეადგინა დაახლოებით 34 მილ. ფრანკი. შედარებისათვის: იმავე წელს კასპიის ზღვით შემოიტანეს 5.513.584 ფრ. და გაიტანეს 2.472.784 ფრ. საქონელი, სულ 7.992.368 ფრ. საქონელი⁴⁰.

1871 წელს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში შემოვიდა და გავიდა დაახლოებით ათასი დატვირთული იალქნიანი ნავი და გემი. თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ სწრაფად გაიზარდა ამიერკავკასიის (ფოთი-თბილისი-ბაქო, ბათუმი-თბილისი-ბაქო) რკინიგზის შემოსავალი⁴¹.

საქართველოში საფრანგეთის კონსულებისა და ვიცე-კონსულების აქტიურ მუშაობაზე მიუთითებს შემდეგი მონაცემები: 1872 წელს თბილისის საკონსულოში შემოვიდა და გავიდა 160 ათასი დეკუმა, ქუთაისის ვიცე-საკონსულოში - 50 ათასი, ფოთის ვიცე-საკონსულოში - 17 ათასი. (შედარებისათვის: იმავე წელს ბაქოს ვიცე-საკონსულოში შემოვიდა 40 ათასი დეკუმა)⁴².

თბილისის საკონსულოს ცნობების მიხედვით, ამიერკავკასიის გუბერნიებში 1871 წელს მოსახლეობის რიცხვი შეადგენდა⁴³:

ტერიტორია კვ. ვერსი	ქალაქებში		სოფლებში		სულ	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი		
თბილისის გუბ.	35375	57501	40891	267528	240664	606584
ქუთაისის გუბ.	18285	9468	7319	308211	280693	605691
ბაქოს გუბ.	34247	37506	31229	234909	209816	513560
ერევნის გუბ.	22867	29957	23342	209318	189384	452001

1872 წლის 22 ოქტომბერს თბილისი-ფოთის ხაზზე რკინიგზის მოძრაობა გაიხსნა. ამრიგად, სპარსეთის ვაჭრობა რკინიგზით შავ ზღვას დაუკავშირდა.

ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, საქართველოზე გავლით, ვაჭრობის გაფართოებას⁴⁴.

კონსული პარიზში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ ფოთში მხოლოდ ერთადერთი ფრანგი ვაჭარია, ხოლო ახლა, როდესაც ასე სწრაფად იზრდება ფოთის მნიშვნელობა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის ვაჭრობა, გარდა ამისა, მოსალოადნელი იყო მარსელსა და ფოთს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარება, კონსული საჭიროდ თვლიდა ფოთში ფრანგი საქმისნების ჩამოსვლას⁴⁵.

1877 წელს ფოთში დაინიშნა ინგლისის ვიცე-კონსული ტომას ვაბრენი⁴⁶. ამასთან დაკავშირებით, ფრანგი კონსული კვლავ მოაფონებდა თავის მთავრობას ფოთში ვიცე-კონსულის დანიშვნის აუცილებლობაზე; ეს აუცილებელია განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფოთი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის ხაზი გაიხსნა", - წერდა იგი⁴⁷. იმავე წლის 11 აგვისტოს ფოთში საფრანგეთის ვიცე-კონსულის პოსტზე დაინიშნა დე ლა ტომი⁴⁸.

თბილისის კონსულისა და ფოთის ვიცე-კონსულის წერილებში მოცემულია მასალები რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობაზე; რუსეთის ჯარების ბრძოლაზე ყარსისა და არდაგანისათვის.

1878 წლის 31 ოქტომბერს საფრანგეთის მთავრობამ გააუქმა ვიცე-კონსულის პოსტი ფოთში და იგი ბათუმში გადაიტანა. ბათუმში ვიცე-კონსულად დაინიშნა რენსი⁴⁹. მაგრამ ეს ვიცე-კონსული პარიზში წერილებს აგზავნიდა არა მარტო ბათუმიდან, არამედ ფოთიდანაც და ქუთაისიდანაც, სადაც იგი ხშირად ჩაღიოდა.

ვიცე-კონსულის მიერ ქუთაისიდან 1877 წლის 19 დეკემბერს გაგზავნილ წერილში ლაპარაკია რიონის სახელობის არმიაზე, რომელიც იმ დროს ვანლაგებულნი ფოთიდან ოზურგეთის რაიონში - მუხაესტატეში (ფრონტიდან 12 კმ-ზე) და ჩოლოკიდან 7-8 კმ-ზე. ქართველებმა შეუტყეს თურქებს და მუხაესტატეში 5 კმ-ზე მდებარე სუცუბანი დაიკავეს⁵⁰.

როდესაც თურქებმა აღი-ფაშას მეთაურობით ქაბულეთის მიმართულებით შეტევა დაიწყეს, ვიცე-კონსული მუხაესტატეში ჩასულა და იქიდან აღწერს ფრონტზე შექმნილ ვითარებას⁵¹. შემოსენებული არმიის შტაბის უფროსის პოლკოვნიკ ვაზბევის (რომელიც ერთდროულად არტილერიის ნაწილებსაც მეთაურობდა) კონტრშეტევას და დერვიშ-ფაშა არზრუმელის ნაწილების უკან დახევას⁵².

რიონის სახელობის არმიის (რომელიც 16 ათასი კაცისაგან შედგებოდა) განლაგების ადგილებად დასახელებული: ზუგდიდი, ოქუმი, ხონი, ფოთი, ნიკოლაევი, მუხაესტატე, სუცუბანი, ოზურგეთი და ჩოლოკი⁵³. ვიცე-კონსულის დე ლა ტომის წერილს თან ერთვის ხელით შედგენილი რუკა, სადაც ნაჩვენებია შავი ზღვის საქართველოს სანაპიროები და ზოგიერთი ადგილები, ფრანგულში ჩასმული განმარტებებით: ზუგდიდი (ამ ადგილის მმართველის რეზიდენცია), ოქუმი, ხონი, ქუთაისი (გუბერნატორის ადგილსამყოფელი), რეღუბკალი, მდ. რიონი, ფოთი (ნავსადგური, ციხესიმაგრე), წმ. ნიკოლოზი (ციხეს-

მგრე), ოზურგეთი (ამ ადგილის მმართველის რეზიდენცია), მდ. ხოლოცი (აქ ფრანტის ხაზი გადის), მუხახეტატე, სუცუბანი, ქობულეთი, ცინისძირი, მდ. კონტრიში, ბათუმი (ნავსადგური, გუბერნატორის რეზიდენცია), მდ. ქობულეთი. იმავე წლის დეკემბერში ვიცე-კონსულის მიერ ქუთაისიდან⁵⁵ და ფოთიდან ვაგზავნილ წერილებში⁵⁶ დაასარკია ქართველების წარმატებაზე თურქების წინააღმდეგ ომში.

1878 წლის 14 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრ ვალენტინის სახელზე ვაგზავნილ წერილში ვიცე-კონსული ეხება ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მნიშვნელობას საფრანგეთის ვაჭრობისათვის აღმოსავლეთში და აღნიშნავს: „ღროს და საჭირო, რომ ბათუმი მწვანობაში ჩადგეს“⁵⁷.

ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მნიშვნელობას თავის წერილებში ეხება თბილისის კონსულიც. 1879 წლის 10 სექტემბერს იგი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ღე ფრეის წერდა: „მოუხედავად ფოთიდან ბათუმში ვიცე-საკონსულოს გადატანისა, ფოთს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა: ფოთში რკინიგზაც და ნავსადგურიც კარგად მუშაობს. ბათუმი ჯერჯერობით რჩება ისეთი, როგორც ოსმანთა იმპერიის ბატონობის დროს იყო - აქ არ არის გემების ისეთი დასატვირთი და ვადმორსატვირთი მისადგომი, როგორც ფოთშია“⁵⁸.

შემდეგ კონსული წერს: „ფოთის მნიშვნელობას მდ. რიონი ზრდის. ამ წლის ბოლოს უფრო თვალსაჩინოდ შეიძლება ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების შედარება შეჯამდეს. თუმცა საკმარისია შეძლეს მონაცემებიც: 1878 წლის 10 ნოემბრიდან 1879 წლის 13 ივლისამდე იმპორტმა ფოთზე გავლით 933.534 მანეთი შეადგინა, ხოლო ბათუმზე გავლით - 100 917 მან., ექსპორტმა ფოთზე გავლით - 2 294 744 მან., ბათუმზე გავლით - 181 183 მან. იმავე პერიოდში რუსეთის სხვადასხვა რაიონებიდან ფოთში შემოვიდა 7699026 მან., ხოლო ბათუმში - 975 546 მან. საქონელი; რუსეთის იმავე რაიონებში გაიგზავნა ფოთიდან 1 310 738 მან., ხოლო ბათუმიდან - 213 753 მან. საქონელი“⁵⁹.

ფრანგი კონსული აღწერს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მდგომარეობას და აღნიშნავს: „ფოთის ნავსადგურში ათი წელია მუშაობენ, მაგრამ ჯერაც არ დამთავრებულა სამუშაოები და ალბათ, იგი დიდხანს არ დამთავრდება. სიმწელე მდგომარეობს მდ. რიონის შენევის ვაშუშაობებში, რელი, რომელიც პირდაპირ მდინარის შესართავთან მდებარეობს, მიუხედავად თანამედროვე საინჟინრო ხელოვნებისა, დაუმორჩილებელია“⁶⁰.

„ფოთში უკვე გაწეულია დიდი ხარჯები, - განგრძობს კონსული, - მაშინ, როდესაც ბათუმში ჯერჯერობით სამუშაოები არ დაწყებულა, ველოდური წამოწყების მდგომარეობაშია. ნავსადგურის გაწმენდა 1872 წელს დამთავრდა. ეს კარგად გაკეთდა. მაშინ მას მოჰყვა ბლოკებითა და ქვებით ვამაგრებული ჯებირის აგება და სამუშაოები ამით დამთავრდა“⁶¹.

რაც შეეხება კლიმატურ პირობებს, ფრანგი კონსული წერს, „ფოთში სრულიად დაბლობი ადგილია, რომელზედაც გადის მდ. რიონი. ქალაქი მდინა-

რის შესართავთან ახლოა. აქ მიწა გაღვნილია უხვი წვილით, რომლის/გაწი-
ლი პირდაპირ ზღვიდან მოდის. ეს ადგილები საერთოდ ნესტიანია. აქ ცხელი
ამ რაიონის გეოგრაფიული მდგომარეობა ტილოფერდა სამკუთხედს მოგვაფი-
ნებს, რომლის სიგანე ზღვის სანაპიროზე 50 კმ-ია, ხოლო ზღვის სანაპირო-
დან ქვეყნის სიღრმეში, დაახლოებით 60 კმ. ფოთის თავისი მუდარეობით სა-
ქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ჩაძირული ადგილი უკავია მდ. რიანის სამ-
ხრეთ მხარესა და პალიასტომის ვრცელ ჭაობს შორის, მისთვის დამახასიათე-
ბელი მაღარიის კლიმატით, მაგრამ არა ხასიკვდილი კლიმატით, როგორც
ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი მაგალითი უცხოელებისა, რომლებმაც ეს
განიცადეს და გადაიტანეს კიდეც⁶².

„ბათუმი გაცილებით უფრო კარგადაა განლაგებული, აქვე გვერდით მდუ-
ბარე მთების გამო, რომლებიც მას სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან დაჭე-
რებენ“. ფრანგი კონსული ბათუმს უფრო სამხედრო მნიშვნელობას აძლევს
ვიღრე სავაჭროს, რაც შეეხება ფოთს, წერს კონსული, მისი როგორც სავაჭ-
რო ქალაქ-ნავსადგურის მნიშვნელობა გაიზარდა განსაკუთრებით მას შემდეგ,
რაც იგი რკინიგზით თბილისსა და ბაქოს დაუკავშირდა, ხოლო ამით, რკინი-
გზით ერთმანეთს დაუკავშირდნენ შავი და კასპიის ზღვები. შემდეგ, კონსული
ეხება ბათუმის კომუნიკაციებს საერთოდ და კერძოდ, ტრაპიზონთან ოზურგეთ-
თან და სამტრედიასთან⁶³.

ფრანგი კონსული დიდ მნიშვნელობას აძლევს საქართველოდან საფრან-
გეთში ჭიათურის მანგანუმის გატანას. 1881 წლის 17 იანვარს იგი თავის სა-
გარეო საქმეთა მინისტრს სენტ-ილერს სწერდა: „1880 წელს საქართველოს
ვაჭრობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მანგანუმის ამოღება და
ფოთის ნავსადგურიდან მისი გატანა. იმავე წლის პირველი 6 თვის განმავლო-
ბაში ფოთის ნავსადგურიდან ათი ათასი მანეთის ღირებულების 82 ათასი ფუ-
თი მანგანუმი გაიტანეს ორი დატვირთული გემით; ხოლო შემდგომში გატანი-
ლი მანგანუმის ღირებულებამ 31 ათას მანეთამდე მიაღწია“. კონსული განა-
რძობს: „ეს მხოლოდ დასაწყისია. ამ წამოწყებას დიდი მომავალი აქვს. ამას
მოჰყვება საქართველოდან ევროპაში დიდი რაოდენობით მისი გატანა და მას-
სადაბე, დიდი მოგებაც“⁶⁴.

კონსული წერს, რომ გერ-კიდეც 1858 წელს გერმანელმა გეოლოგმა
აბინმა განაცხადა, რომ ქუთაისის გუბერნიის მანგანუმის დიდი მარაგი მოიპო-
ვებო, ამასთან დაკავშირებით თბილისში საეცადლო კომისია შეიქმნა, რომ-
ელსაც ეს საქმე უნდა შეესწავლა. კომისიამ აღმოაჩინა მანგანუმის დიდი მარა-
გი მდ. ყვირილას მიდამოებში, კერძოდ, ჭიათურის დაბლობზე⁶⁵.

ამ ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლუატაცია, წერს ფრანგი კონსული, დაი-
წვეს 1879 წელს. ეს ის დრო იყო, როდესაც კუნძული სიცილია და პირნიის
ნახევარკუნძული უკვე ვეღარ აკმაყოფილებდნენ ევროპის ქვეყნების მეტალურ-
გიული ქარხნების მოთხოვნილებებს. ახლა ევროპის ქვეყნებს შეეძლოთ მუ-
ღოთ ეს ძვირფასი ნედლეული საქართველოდან. კონსული თავისი მინისტრის
ყურადღებას მიაქცევს ჭიათურის მანგანუმის უმაღლეს ხარისხს, რომ იგი

სხვადასხვა მდებარეობის 92-96%-ს შეადგენს⁶⁵. თანაც ეს მუხრანის მთიანეთის იაფი ჯდებოდა: ერთი ფუტი მანგანუმი ღირდა 25 კაპიკი, რკინივანი ფუტი - მისი ჩატანა - 5 კაპიკი, კვანძი დატვირთვა - 2 კაპიკი, აბრეჯად, ერთი ფუტი მანგანუმის ვაგზავნა საქართველოდან ჯდებოდა 32 კაპიკი.

კონსული შ. დე კუტული თავისი მინისტრის ფურადლებას მოაქვეყნა იმ-საკც, რომ განსაკუთრებით გერმანელები ცდილობდნენ ხელს ეყლიათ ჭიათურის მანგანუმის ევროპაში გატანის საქმე. იგი წერდა: „აქ ჩამოვიდა ერთი გერმანელი, ვინმე შეხეივლი, მაგრამ ჯერ არ ჩინს რამდენი კაპიტალის მქონეობა იგი. ქართველ გენერალ მუხრანსკის უნდა მანგანუმის საზოგადოების შექმნა. გარდა ამისა, ორი ფრანგი ძმა რიშარი, რომლებიც თბილისსა და მარსელს შორის ვაჭრობის საკითხებით არიან დაკავებული, შხალ არიან ხელი მოკვიდონ ჭიათურის მანგანუმის ევროპაში გატანის საქმეს“⁶⁷.

1882 წელს ბათუმიდან ვაჭრებმა მნივესტროვანი რაოდენობის საქონელი, მათ შორის, გაწმენდილი ნავთობი, საცხები ხეით, ხელლი ხეით, აბრეშუმის პარკი, აბრეშუმი, მატყლი, თამბაქო, გაწმენდილი ნავთობი მიდიოდა ანატოლიის მხარეში: ტრაპიზონში, კერასუნდში, სამსუნში, კონსტანტინოპოლში, სმირნაში⁶⁸; საცხები ხეით - მარსელში, ლივერპულში, ამსტერდამში; ხელლი ხეით თითქმის მთლიანად ინგლისში; აბრეშუმის პარკი, აბრეშუმი, მატყლი - საფრანგეთში, ხოლო იქიდან, ნაწილი - იტალიაში⁶⁹. მანგანუმი კი ისევე ფოთიდან გადიოდა. მაგრამ ხე-ტყე გააქონდათ ანაკლიიდან, ოჩამჩირეჯან, სოხუმიდან და სხვა ადგილებიდან ბზიფადლე.

1882 წელს ბათუმში შემოვიდა 1.114.500 ფრანკის ფრანგული საქონელი, მათ შორის, მანუფაქტურა, შაქარი, მანქანები, ავეჯი, აგური, კონსერვები, დაბეჭდვითი რკინა⁷⁰. ბათუმიდან ექსპორტმა შეადგინა 5 674 940 ფრანკი, ხოლო 1883 წელს 11 715 ათასი ფრანკი. იმპორტმა იმავე წლებში შეადგინა: 6 683 215 ფრ. და 14 588 407 ფრ.⁷¹. 1882 წელს ბათუმის ნავსადგურში შევიდა სხვადასხვა წყალწვევის 646 გემი, 328.426 ტ. ტვირთით, ხოლო 1883 წელს - 567 გემი, 346.223 ტ. ტვირთით.

1884 წლის 31 მარტის წერილში კონსული თავის პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს უიულ ევროს მოახსენებდა საქართველოში მკვენახეობის მდგომარეობაზე. ფრანგი კონსული სწერდა მას: „თავიდან შერვაშიძემ გაზარდა თავისი ვენახის ფართობები და კარგი ხარისხის ფრუქტები მიიღო. ღვინოს იგი ევროპის წესზე აყენებს. აუზახეთის ღვინო ადგილზე ერთი ჯდრო 2-2,5 მან. ღირს. იგი ვააქეთ ნოვოროსისკში, ანაპასა და ტაუანოვში“⁷².

ფრანგი კონსული ღვინოს წარმოების მხრივ ქუთაისის გუბერნიას 4 ზონად ჰყოფს: იმერეთი (ქუთაისისა და შორაბნის რაიონები), რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო (ზუგდიდისა და ახალ ხენაკის რაიონები) და გურია (თბურჯეთი)⁷³.

„იმერეთს, - წერს ფრანგი კონსული, - 5 645 კვადრის ანუ 598 125 დესეტინა მიწა უკავია (მოსახლეობა - 254 519 სული). ამ მიწის დიდი ნაწილი ვენახს უკავია. იმერეთში ვენახისათვის შესანიშნავი კლიმატია. სიცხე აქ ინტენსიური არაა, მაგრამ სიცივე ვაზზე არავითარ გავლენას არ ახდენს.

იმერეთში აქვთ ძალიან კარგი, მაგარი და თეთრი ღვინო. არის წითელი ღვინოც. იგი ახალციხიდანაა შემოტანილი".

ფრანგი კონსულის მიხედვით, იმერეთში ორი სახის ვაზი ხარობს: დაბლარი და მაღლარი. ვაზებს შორის მანძილი ერთი საყენია. მათ შორის, ერთ წელს თესავენ სიმინდს, მეორე წელს - ღობიოს, ხოლო მესამე წელს - საზამთროს და ა.შ. „აქ ყურძნის სხვადასხვა ჯიში არსებობს: საფერავი - იგი მაღალ ღვინოს იძლევა და იძლევიან მუქია, რომ სხვა უფრო ღია ღვინოს გასარევადაც გამოიყენება. რკო საჩხერეშია. ფილოქსერა აქ არ არის. სვირი, ობჩა, ხონი და ყვირილა აწარმოებენ კარგ ღვინოს - მაგარს და ფერით საკმაოდ მუქს. ბელაგორი საუკეთესო მაგარი ღვინოა. კამური (?) ძალიან ჰგავს შამპანურს. აქ შემოაქვთ ფრანგული ღვინოებიც. ქართველები სიამოვნებით მიირთმევენ მათ"⁷⁴.

რაჭა-ლეჩხუმში აპრილამდე ცივა. „აქ ამზადებენ სპეციალური ჯიშის წითელი ღვინოს. არის თეთრიც. საუკეთესო ღვინოს იძლევა ყურძენი „ფიფანი“. ის მაგარია, ფერით მუქი-მავი, სასიამოვნო გემოსაა. იგი დასაღვავად უფრო სასიამოვნოა დამზადებიდან 5-6 კვირის განმავლობაში. თუმცა იგი კარგად ინახება"⁷⁵.

